F567 ✓ 3678

იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-13 წელი

№ 9-10 (218)

მაისი,

1969 წელი

ნონა გაფრინდაშვილი

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი



საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

თანამედროვეობის უძლეველი ძალა

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის წინ

ვინც საზოგადოებრივ ცხოვრებას უკვირდება და სწავლობს, აღნიშნავს, რომ თანამედროვე სამყარო ხასიათდება ღრმა წინააღმდეგობებით, დინამიურობით, აქამდე არნახული სირთულით, სადაც ერთმანეთს ებრძვიან ანტაგონისტური, სხვადასხვა სოციალური სტრუქტურები.

ბრძოლის ხაზი გადის არა მარტო სახელმწიფოთა შორის, არამედ სახელმწიფოთა შიგნითაც. როგორი ცვლილებებიც უნდა შეეტანა მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიურ სტრუქტურაში, კლასთა შიგნით არსებულ ფენებში თუ ჯგუფებში, ძლიერმა ტექნიკურმა ძვრებმა ვერ შეცვალეს და ვერც შეცვლიდნენ ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ არსს. რეალურ ისტორიულ, სოციალურ სიტუაციას ქმნის მხოლოდ ის გარემოება, თუ ვის ხელშია, ვის ეკუთვნის საწარმოო საშუალებანი, ფინანსები, ვინ განაგებს და ფლობს ეროვნულ დოვლათს, რომელსაც ქმნიან წარმოების, მოხმარების სფეროში მოქმედი მშრომელი კლასები. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური სწავლული ეკონომისტების ცნობით ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთი პროცენტი ფლობს მთელი ეროვნული დოვლათის 51,7 პროცენტს, მოსახლეობის იმავე ერთ პროცენტს ეკუთვნის ყველა აქციის 52,6 პროცენტი. დაახლოებით იგივე ვითარებაა მაღალი ეკონომიური პოტენციალის მქონე დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგალითად, იაპონიაში, ფედერაციულ გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, საფრანგეთში, იტალიაში და ა. შ.

ისმის ასეთი ხმებიც, ეკონომიურად განვითარებულ არასოციალისტურ ქვეყნებში მშრომელები საერთოდ და კერძოდ მუშათა კლასი ახლა გაცილებით კარგად ცხოვრობენ, ვიდრე წინათ ცხოვრობდნენო. მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების კანონი, მარქსმა რომ დაადგინა, მე-19 საუკუნის ანაქრონიზმიაო, კომუნისტები, რომელნიც კვლავ აღიარებენ ამ კანონის მოქმედებას, სცდებიანო.

როგორია ჭეშმარიტი ვითარება? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეცნიერ-ეკონომისტთა მსჯელობაში ჩვენ საქმე გვაქვს მარქსის ეკონომიური მოძღვრების ვულგარიზაციასთან, ხანდახან კი. პირდაპირ ფალსიფიკაციასთან.

მარქსს არასოდეს არ უმტკიცებია, თითქოს მე-19 საუკუნის პროლეტარი უფრო ცუდად ცხოვრობდა, ვიდრე გამოქვაბულის ადამიანი, და რომ ადამიანთა საზოგადოების საერთო პროგრესი მშრომელთა ფენებს არ შეხებია.

კ. მარქსს აღნიშნული აქვს, რომ „სამუშაო ძალის ღირებულების უდაბლეს, ანუ მინიმალურ საზღვარს ქმნის იმ საქონელთა მასის ღირებულება, რომელთა ყოველდღე მიუწოდებლად სამუშაო ძალის მატარებელს — ადამიანს არ შეუძლია ჯანაბლოს თავისი სასიცოცხლო პროცესი, მაშასადამე, ამ მინიმალურ საზღვარს ქმნის ფიზიკურად აუცილებელ საოსიპო საშუალებათა ღირებულება“ („კაპიტალი“, ტ. I, გვ. 221).

ლენინი აღნიშნავდა, კაპიტალიზმის განვითარება აუცილებლად იწვევს მთელი მოსახლეობის და მუშათა პროლეტარიატის მოხმარების დონის ზრდასო (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 90).

ამრიგად, ცხოვრების სტანდარტის მერყეობა არ ცვლის კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ კლასობრივ სტრუქტურას. ახალი დროება კი არ ანელებს, არამედ ახალ ფორმებში გამოავლენს კლასობრივ ბრძოლას. ამ ბრძოლებში ჩაბმულ კლასებს, სოციალურ ფენებს ხელმძღვანელობა სჭირდება. ბრძოლა, რომელიც სტიქიურ ხასიათს ატარებს, მარცხდება.

აი ასეთი ობიექტური ვითარება განაპირობებს კომუნისტური პარტიების, კომუნისტური მოძრაობის არსებობას ეკონომიურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში; ყველგან, სადაც მშრომელები იბრძვიან თავიანთი ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული ემანსიპაციისათვის, იმ კონტინენტებზე, სადაც ხალხები ჩაბმული არიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ახალი ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის. ახალ სამყაროში კომუნისტური პარტიები ხელმძღვანელობენ სოციალიზმის, კომუნიზმის მშენებლობის არც თუ ადვილ საქმეს.

მუშათა მოძრაობა ნაციონალურ ფორმას ატარებს, — ის ეროვნულ საზღვრებში წარმოებს, საერთოდ ინტერნაციონალურია ამ მოძრაობის შინაარსი და ასპარეზი. ობიექტური სინამდვილეა, რომ ყველა ქვეყნის მშრომელს ებრძვის ექსპლოატატორთა გაერთიანებული ფრონტი. ესეც ისტორიული ფაქტია, რომელიც მარქსმა და ლენინმა როდი შეთხზეს, არამედ შენიშნეს, აღნიშნეს და მეცნიერულად შეისწავლეს.

ახალმა და უახლესმა ისტორიამ ისიც გვიჩვენა, რომ, გარდა კომუნისტებისა, არც ერთი პოლიტიკური პარტია თანმიმდევრულად ბოლომდე არ იცავს მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. ეს ლიტონი სიტყვა როდია, ამას ადასტურებს, თუ გნებავთ, 1968 წლის ზაფხულის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ამბები, ლეიბორისტების პრაქტიკული მოღვაწეობა ამ წლების მანძილზე ინგლისში, ფედერაციული გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოქმედება ჰიტლერის დამხობის შემდგომ ხანაში და სხვა მრავალი მაგალითი.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არავის ახვევს თავს სოციალიზმის მშენებლობის საბჭოურ გამოცდილებას. ცხადია, ყველა ერი, ყველა ხალხი რევოლუციური მოძრაობის ძალთა ორგანიზაციის საქმეში თუ სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტულ ფორმებში ყოველმხრივ გამოიყენებს თავის ეროვნულ, ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ ტრადიციებსა და გამოცდილებას, მაგრამ ყამთა სვლამ ისიც დაამტკიცა, რომ იმ ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელები, რომელნიც არ მოისურვებენ საბჭოთა კავშირის დიდი, მრავალფეროვანი გამოცდილების გათვალისწინებას, თვითონვე წაგებენ და პირველ რიგში თავის ეროვნულ, კლასობრივ, სოციალურ ინტერესებს მიაყენებენ უდიდეს ზიანს.

ყოველი ახალი წელი, ახალი ხუთწლეული თანამედროვე დინამიურ ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. ისტორია ერთ ადგილს როდი ტკეპნის, იცვლება დროება, იცვლებიან ადამიანები, თავს იჩენენ ახალი პრობლემები, ახალი სიძნელეები, ახალი სირთულეები. ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონები. ამ მეტად თავისებურ ვითარებაში გარკვევაა საჭირო. აი ამიტომ მეტნაკლებად პერიოდულად, დროდადრო იკრიბებიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თავკაცები. ერთობრივად ფიქრობენ, ბჭობენ, გაერთიანებული მოქმედების პროგრამას იმუშავებენ. ასეთი ერთობლივი ხასიათის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას თვით ცხოვრება გვიკარნახებს.

გულუბრყვილობა და სრული პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა იმის უგულებელყოფა, რომ, მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, რომლებიც ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებობს, თითქოს არ არსებობდეს მათი ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი, რომელიც მიმართულია სოციალისტური სამყაროს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მაშ რაღა არის ნატო, სეატო, სენტო, ანზიუსი, ევროპაში არსებული რეგიონალური გაერთიანებანი, ასეთივე გაერთიანებანი ლათინურ ამერიკაში და სხვაგანაც? ნატოში გაერთიანებულმა ქვეყნებმა, ამ ორგანიზაციის წევრებმა შეიარაღებისთვის დახარჯეს ერთი ტრილიონი 330 მილიარდი დოლარი!

როგორ შეიძლება რეაქციის ამ გაერთიანებულ ფრონტს შეეკრიბონ ეკონომიკის თუ სხვა დარგში პროგრესის, დემოკრატიის, მშვიდობის ძალები? ასეთ პირობებში დაჭასაქსულობა ღალატი იქნებოდა და სხვა არაფერი. და ვინც ახლა დაჭასაქსულობას ხელს შეუწყობს, მაგალითად, მაოძე-დუნის ჯგუფი, ისინი ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ რეაქციის ძალებს, თავის კეგემონისტურ ინტერესებს ანაცვლებენ დემოკრატიისა და მშვიდობის დიადი საქმის განმტკიცებას. მაოელები ცდილობენ გათიშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დაუპირისპირონ ეს მართლაც რომ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა სოციალიზმის სამყაროს, საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობას. ადრე თუ გვიან მაოელები დამარცხდებიან და დიდი ჩინელი ხალხი დაიკავებს მას კუთვნილ ადგილს საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში, რომელსაც ებრძვის იმპერიალისტური რეაქცია.

რასაკვირველია, სიძნელეები საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში ასუსტებენ საერთაშორისო პროგრესის, დემოკრატიის, მშვიდობის საქმეს. ეს ასეა, მაგრამ ისტორიული გამოცდილება იმასაც გვასწავლის, რომ არ არსებობს სიძნელეები, რომელებსაც ვერ სძლევდეს თანამედროვეობის უძლიერესი ძალა — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა.

თანამედროვე ცხოვრება რთულ მოზაიკას წარმოადგენს. მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია დღევანდელი სამყარო. სხვადასხვა ქვეყანა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება. სხვადასხვა ხალხებს ერთნაირი პოლიტიკური გამოცდილება როდი აქვთ. როგორიც არ უნდა იყოს ეს მრავალფეროვანი სამყარო, ამ სამყაროს მკვიდრთა უმრავლესობას — მშრომელ მასებს ერთიანი ამოცანები აკავშირებს. შორეულ ავსტრალიელ თუ ამერიკელ მშრომელებს, მებრძოლ ვიეტნამელს, თუ საბერძნეთის საპყრობილეში გამომწყვდეულ პატრიოტს, ქართველ კოლმეურნეს თუ ციმბირში მოღვაწე მუშას, რეჟირენოს თუ ფიატის პროლეტარს, ყველას ერთი კლასობრივი ინტერესი აქვს.

აი ამ საერთო ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებას საერთო პროგრამის გამომუშავებას უძღვნიან თავის მუშაობას მოსკოვში შეკრებილი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

ვლადიმერ მაჭავარიანი.

მცირეგაბარიტიანი ავტომობილი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს მცირეგაბარიტიანი ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მთაში სამუშაოდ.

ამჟამად ტვირთების გადასაზიდად იყენებენ საბჭოთა ავტომობილებს „მოსკვიჩი“-433“ და „უაზ-451“, რომლებიც საკმაოდ კარგად არ არიან შეგუებული მთაში საექსპლოატაციოდ.— აცნობა ჩვენს კორესპონდენტს ინსტიტუტის „ავტომობილების, ტრაქტორების, საავტომობილო ძრავების“ კათედრის გამგემ რ. ფარცხალაძემ.

ახალი ავტომობილის მოდელი დამზადა თბილისის № 1 ავტოშემკეთებელმა ქარხანამ.

ავტომობილი აღჭურვილია ინსტიტუტის დოცენტის გ. რაზმაძის სისტემის მუხრუჭების დანადგარით.

სატვირთო მანქანის ორიგინალური კონსტრუქცია, ბაქნის დაბლა მდებარეობა საშუალებას იძლევა სწრაფად, დიდი ძალ-ღონის გაუწევლად და დასატვირთი სამარჯვების გამოუყენებლად დაიტვირთოს ავტომობილი.

ძირითადი სატვირთო ბაქნის გარდა არის დამატებითი დასაკეცი ბაქანი. მძღოლის კაბინის უკან გადმოსაკეცი საჭდომია ოთხი მგზავრისათვის. მანქანის მაქსიმალური სიმძლავრეა 30 ცხენძალა, ტვირთამწეობა — 500 კილოგრამი.

მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანების პატარა სერიის გამოშვებას შეუდგება ცეკავშირის თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხანა.

დედა-სამშობლოს ახალი ამბები

ჭარბული მეცნიერების უძველესი კერა

თბილისის ობსერვატორიის 125 წლისთავი

14 მაისს შესრულდა 125 წელი, რაც დაარსდა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ცენტრი ჰიდრომეტეოროლოგიისა და გეოფიზიკის დარგში. ობსერვატორია გახდა მეცნიერთა და სპეციალისტთა — გეოგრაფთა, ჰიდრომეტეოროლოგთა და გეოფიზიკოსთა ეროვნული კადრების მომზადების სკოლა. ობსერვატორიაში დაიწყეს მოღვაწეობა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა ი. ვეკუამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა — ფ. დავითაიამ, ე. ხარაძემ და სხვა.

ჯერ კიდევ 1836 წელს სოლოლაკის მთაზე, რომელიც ბოტანიკურ ბაღს ჰყოფს ქალაქისაგან, დაიწყო ეპიზოდური მეტეოროლოგიური დაკვირვებები, — აცნობა ჩვენს კორესპონდენტს ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ლომინაძემ. — XIX საუკუნის 40-იან წლებში იწყებენ მაგნიტურ დაკვირვებებს (კავკასიაში დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებებსა და მერყეობაზე). 1844 წლის 14 მაისს თბილისში დაიწყო მუშაობა მაგნიტურ-მეტეოროლოგიურმა ობსერვატორიამ.

ობსერვატორიის თანამშრომელთა დაკვირვებების მასალების საფუძველზე შესრულდა მთელი რიგი სამუშაოები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს და მთელი კავკასიის კლიმატურ თავისებურებათა გამოვლინებისათვის.

1931 წელს აბასთუმანში აიგო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ჩინებული შენობა. 1905 წელს დაიწყო გეომაგნიტური ველის ვარიაციების დაკვირვება.

სამუშაოთა მეცნიერულ ხელმძღვანელობასა და ორგანიზაციის ობსერვატორიაში, რომელსაც გეოფიზიკური ეწოდა, სხვადასხვა დროს ახორციელებდნენ საქართველოს თვალსაჩინო მეცნიერები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დიდებულიძე, პროფესორები ა. ბენაშვილი, რ. ხუციშვილი, მ. ნოდია, კ. სულაქველიძე, გ. ჩიჩუა, ი. ცუკერიძე და სხვები.

1953 წელს ობსერვატორიის ბაზაზე რესპუბლიკაში შეიქმნა თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი. აქ ფართოდ გაიშალა გამოკვლევები სამთო ჰიდრომეტეოროლოგიის, აგრომეტეოროლოგიის, ატმოსფეროს ფიზიკისა და ჰიდროლოგიის დარგში. ინსტიტუტი გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ამინდის პროგნოზების მეთოდების დამუშავებისა და გაუმჯობესების დარგში. ამ დამუშავებას ფართოდ იყენებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები. აღიარებულია აგრეთვე ინსტიტუტში შექმნილი მეთოდები ბრძოლის და აქტიური ზემოქმედებისა ჭექა-ქუხილის და სეტყვის ღრუბლებზე, ხორშაკებსა და სელურ ნაკადებზე, ზვავებსა და სხვა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ მოვლენებზე.



ყვავილის კომბინატები

თბილისის გარეუბანში, მწვანე მეურნეობის ტრესტის საბაზისო სანერგის ტერიტორიაზე დაიწყო ყვავილების გამოსაყვანი ორი სათბურის მშენებლობა.

სათბურები შენდება ტიპობრივი პროექტით, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს სანერგის დირექტორმა გ. ჭოღოშვილმა. — სათბურები შედგება ათი ორანჟერიისაგან. მათი საერთო ფართობი ათი ათასი კვადრატული მეტრია. ვენტილაცია და მორწყვა ავტომატიზებული იქნება. სათბურები მწყობრში ჩადგება მომდინარე წლის დამლევს. აქედან მთელი წლის განმავლობაში თბილისის ყვავილის მაღაზიები მიიღებენ ათეულ ათასობით ვარდს, ქრიზანტემას, მიხაკს, ტულიპს.

საბაზისო სანერგე ახლო მომავალში მთელი წლის მანძილზე გამოიყვანს ყვავილებს თბილისის ზღვის მახლობლადაც. აქაც შენდება ათი ათასი კვადრატული მეტრი ფართობის დიდი სათბური. დაიწყო ხუთი ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სათბურების მშენებლობა ლაგოდეხსა და ლანჩხუთში. მომავალი წლიდან მშენებლები სათბურის აგებას დაიწყებენ ოჩამჩირეშიც. ამ „ყვავილის კომბინატების“ მწყობრში ჩაყენება შესაძლებელს გახდის მოსახლეობას მიეყიდოს წელიწადში 7,5 მილიონი ყვავილი.

ჩაის კრეფა გაჩაღდა

ჩაის ბუჩქები ლორთქო ფოთლებით შეიმოსა. მცენარე ამ დროს ადამიანის გამრჯე ხელს ითხოვს. მაშინვე უნდა მოიკრიფოს, რომ ხარისხი არ დაკარგოს, მეტი მოსავალი მოგცეს, შემდეგი ზრდა არ დაყოვნდეს.

საქართველოს ჩაის პლანტაციებში გაჩაღდა ჩაის კრეფა. მეჩაიეები მოედვნენ მახარაძის, ქობულეთის, ზუგდიდის, გალის, წალენჯიხის და სხვა რაიონების ჩაის პლანტაციებს.

ჩაის ფაბრიკებმა უკვე მიიღეს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქრო“. ასე უწოდებენ მეჩაიეები თავიანთ პროდუქციას.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ეს სურათი ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის ჩაის პლანტაციაში გადაიღო. აქ ჯერ კიდევ არ შემოსულა ჩაკრეფი მანქანა „საქართველო“ ჩაის ბუჩქების სახელდახელოდ გაშენებას მოითხოვს, ახალშენელი მეჩაიეები კი ახალშენ პლანტაციებში სამამულო მანქანის გამოყენებას მომავალი წლიდან ვარაუდობენ. ამ ძველ პლანტაციაში ფოთოლს ჯერჯერობით კვლავ ხელით კრეფენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

შეხვედრები უკრაინის მიწაზე

20 მაისს დამთავრდა ქართული მწერლობის დღეები უკრაინაში, რომელიც ათი დღე მიმდინარეობდა. მეგობრული შეხვედრები, გულითადი საუბრები ჩატარდა მაღალ შემოქმედებით დონეზე. უკრაინელი ხალხის ერთსულოვნებამ, უბრალო ადამიანებთან სიახლოვემ, მათმა ალალმა, გულთბილმა მასპინძლობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მწერლებზე. კიევიდან ისინი გაემგზავრნენ კანევში, სადაც დასაფლავებულია უკრაინელი ხალხის საამაყო მგოსანი ტარას შევჩენკო. ქართველმა მწერლებმა პატივი სცეს პოეტის ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მოძმე ხალხისათვის წმიდათაწმიდა ადგილი.

შემდეგ დეკადის მონაწილენი ჩავიდნენ მირგოროდში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი დავით გურამიშვილი. აქ დაწერა მან თავისი უკვდავი „დავითიანი“ და სიყვარულით მიუძღვნა თავის მშობლიურ ქართველ ხალხს. აქ გაიმართა სახელდახელო მიტინგი, სადაც ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. ამაყად გაისმოდა ქართული და უკრაინული ლექსი, სიმღერა. უკრაინელმა მეგობრებმა შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნეს მთელ ქართველ ხალხს — დავით გურამიშვილის დიდებული ქანდაკება, რომელიც ჩვენი ორი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ აღიმართა უკრაინის მიწაზე, აქვე გაიხსნა მდიდარი ექსპონატებით დაკომპლექტებული გურამიშვილის სახლ-მუზეუმი.

ახლახან უკრაინიდან დაბრუნდა ქართული მწერლობის დღეების მონაწილეთა დელეგაცია. გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტი ეწვია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს გრიგოლ აბაშიძეს და საუბარი ჰქონდა მასთან.

ქართველ მწერალთა დელეგაცია, — განაცხადა მან, — სამ ჯგუფად გაიყო. პირველი ჯგუფი გაემგზავრა სამხრეთისაკენ ხარკოვის მიმართულებით, მეორე ლვოვის მიმართულებით, ხოლო მესამე ვოლინოსაკენ. სტუმრებს ყველგან სიყვარულით ხელგაშლილი გვხვდებოდნენ მასპინძლები ტრადიციული პურითა და მარილით.

ლვოვში დავესწარით რუსთაველის ქუჩაზე აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნას. ვოლინოს ჯგუფმა დაათვალიერა პოეტი ქალის ლესია უკრაინკას მშობლიური კუთხე. ლ. უკრაინკა საქართველოში გარდაიცვალა. მის სახლ-მუზეუმს და ძეგლს ასევე სათუთად უვლიან სურამში.

19 მაისს კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შედგა დასკვნითი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. მეგობრული შეხვედრების 10 დღე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.



სურათზე: ქართველი და უკრაინელი მწერლები კიევში.

კუბელი მეცნიერი სტუმრად საქართველოში

ჟართველ ჰიდრომეტეოროლოგებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაგვიწიონ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ორგანიზაციაში, მეცნიერ მუშაკთა და ჰიდრომეტეოროლოგთა, განსაკუთრებით აგრომეტეოროლოგთა ვალიკვალიფიციური კადრების მომზადებაში, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს სამშობლოში გამგზავრების წინ კუბის რესპუბლიკის მეტეოროგოლიის ინსტიტუტის დირექტორმა დოქტორმა მარიო როდრიგეს რამირესმა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — თქვა მან, — ქართველ სპეციალისტთა გამოცდილება ბუნების გარდაქმნაში, და, კერძოდ, წყალმეტობისა და ღვარცოფების, ხორშაკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვენახებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასეტყვისაგან დაცვაში

სამი დღის განმავლობაში მეცნიერი ეწვია საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსა და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. კუბელ სპეციალისტს შესაძლებლობა ჰქონდა დაწვრილებით გაცნობოდა სამმართველოს სამსახურების მუშაობას და მათს ორგანიზაციულ სტრუქტურას, ამინდის სამსახურის მიერ საქართველოს სახალხო მეურნეობის მომსახურების პრაქტიკას.

სტუმარი ეწვია მუხრანის აგრომეტეოროლოგიურ სადგურს, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიას და თბილისის ამინდის ბიუროს აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილებას.

კუბელ მეცნიერზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების შედგენამ, კერძოდ, ჩაის, ყურძნისა და სუბტროპიკული კულტურების ვეგეტაციური პერიოდის დაწყებისა და მოსალოდნელი მოსავლის წინასწარმეტყველებამ. მალე კუბაში უნდა შეიქმნას აგრომეტეოროლოგიური სადგურების განშტოებული ქსელი სოფლის მეურნეობის მომსახურებისათვის. საქართველოში შეძენილი გამოცდილება დიდ დახმარებას გაუწევს კუბელ სპეციალისტებს.

დოქტორმა მარიო როდრიგეს რამირესმა მოხსენება წაიკითხა ატმოსფერულ პროცესებზე, რომლებიც განაპირობებენ გრიგალების წარმოქმნას ტროპიკულ ზონაში.

ფიროსმანის გალერია

ორთაჭალა — ძველი თბილისის რაიონი დამშვენდება ახალი შენობით — ფიროსმანის გალერიით. მისი პროექტი შედგენილია ისე, რომ არ დაირღვეს ძველი ქალაქისათვის დამახასიათებელი კოლორიტი. გალერია მოთავსდება მაღლობზე. გორგასალის ქუჩის სკვერში. ორსართულიანი შენობის კედლები აიგება ბრტყელი ქართული აგურისაგან. გალერიიდან მნახველს შეუძლია დაათვალიეროს ძველი უბნები. ეს მას გადაიტანს დიდი მხატვრის მოღვაწეობის ეპოქაში, მოამზადებს სურათების დასათვალიერებლად.

პირველ სართულზე მოთავსდება ვესტიბიული, ლიტერატურისა და სუვენირების კიოსკი, საექსპოზიციო დარბაზები. ამ დარბაზებში უჭვენებენ ფიროსმანის სურათებს კერძო ფონდებიდან საუბილეო გამოფენების დროს. დანარჩენ დროში შენობას გამოიყენებენ ხალხური შემოქმედების პერიოდული გამოფენებისა და თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური ექსპოზიციისათვის.

მთელი მეორე სართული განკუთვნილია ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა მუდმივი ექსპოზიციისათვის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან. შენობა თავისი შინაგანი აღნაგობით მოგვაგონებს ფუტკრის სკას, სადაც ყოველი უჯრედისათვის გათვალისწინებულია რეგულირებული ზედა განათება. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები ო. ლითანიშვილი, ვ. ჯორბენაძე, ა. ჭუბაბრია.

გალერიის გვერდით დაიდგმება ნ. ფიროსმანაშვილის ქანდაკება, რომელსაც შეასრულებს ე. ამაშუკელი.

იოსებ მეგრელიძე

ქართველი ეროვნული მოღვაწე

გიორგი ლეონიძის დაბადების 70 წლისთავი



გიორგი ლეონიძე.

ფოტო ს. კილაძისა.

საქართველოს სახალხო პოეტი, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე (1899-1966), როგორც მგოსანი და საზოგადო მოღვაწე, — ხალხთა ძმობისა და მშვიდობის მომხრე, ცნობილია არა მარტო სამშობლოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც. ამაზე აქ ვერ ვილაპარაკებთ. ახლახან აქ იგი გვინდა დავახასიათოთ როგორც ქართული კულტურის ძმეწების შემძრები, დამცველი და ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის საკითხების მკვლევარი[1], რამდენიმე მნიშვნელოვანი პირველწყაროს გამომცემელი, რუსთაველის კბაბდარი და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორი.

გიორგი ლეონიძე, როგორც ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანი, ადრევე ავლინებს მეცნიერულ ინტერესსა და საკითხის ღრმად შესწავლის უნარს. პროფ. ს. კაკაბაძემ უკვე აღნიშნა: „ადრე, ჯერ კიდევ მოწაფეობისას, გ. ლეონიძე გამოდის ასპარეზზე, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“ (ჟურნ. „მნათობი“, 1959, № 12, გვ. 106-110).

მართლაც, იგი 13-15 წლისა (1912-1914 წლებში), ფსიქდონიმით ან გვარის მოწერით, ქართულ პერიოდიკაში აქვეყნებს წერილებს ისეთ ძნელებზე, როგორიც არის კაზარეთის სამება, ნინოწმინდის ეკლესია, ადრეული უჯარმის ციხე-ნაქალაქარი და სხვ.

თითქმის „ამავე ხანას მიეკუთვნება გ. ლეონიძის მონოგრაფიული ნაშრომების გამოქვეყნება ამბროსი ნგრძესელისა (VI ს.) და მისეულ მოდრეკილის (X ს.) მოღვაწეობის შესახებ, ადრეული წერილები ორ ფილოლოგად ათონის ივერიის მონასტერზე. პარალელურად ის ბეჭდავს თავის საყურადღებო დაკვირვებებს ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ“.

დასახელებულთა მიხედვით, საფიქრებელი იყო, რომ ამ საყურადღებო წერილების ავტორი შერჩებოდა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების ასპარეზს, მაგრამ გ. ლეონიძის შემოქმედებითს არეალში მალე გადასწონა პოეტურმა ბუნებამ, რამაც მისი შემოქმედებითი ნიჭი ძირითადად პოეზიას განაკუთვნა. ამავე დროს ჩვენმა კოშტმა კვლევა-ძიებაც განაბრძო, და მეცნიერებაშიც მიუძღვის დამსახურება (ამის შესახებ სპეციალურადაც წერენ ალ. ბარამიძე — 1964 წ., ი. მეგრელიძე — 1960 წ.).

* * *

გ. ლეონიძის მოწაფეობის დროინდელ წერილებზე მეტი მნიშვნელობისაა 19-20 წლის ასაკში მის მიერ დასაბეჭდად მომზადებული და საკუთარი გამოკვლევით გამოქვეყნებული (1920 წ.) მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის სახელმძღვანელო „ჭაშნიკი“, რომელიც ავტორს ვახტანგ მეექვსის დავალებით შეუდგენია 1731 წელს მოსკოვში.

გამოცემა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში, გარდა ტექსტისა და სათანადო გამოკვლევისა, წარმოდგენილია მ. ბარათაშვილის ბიოგრაფია. ამ გამოცემით გ. ლეონიძემ მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, როგორც ჩამოყალიბებულმა მკვლევარმა, რომელიც ნათლად აზროვნებს, სხარტად, იოსებიანურად და ადვილდასამახსოვრებლად წერს.

გ. ლეონიძემ თავისი რედაქციით, ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (1928), რომელიც 1937 და 1959 წლებშიც დაიბეჭდა. იგი ამჯერად რუსულადაც გამოქვეყნდა სამასი ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. მასშიც გ. ლეონიძის გამოკვლევა (ს. ორბელიანის ბიოგრაფია, საზოგადო მოღვაწეობა და შემოქმედება) 70 გვერდს შეადგენს.

გამოცემამ ასეთი მაღალი შეფასება დაიმსახურა: „აზრიანად შედგენილი ლექსიკონისა და ტექსტის ინდექსის გარდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უაღრესად დეტალურად და მრავალი მასალის გამოწვლილვით დაწერილი სულხან-საბას ვრცელი ბიოგრაფია“, რომელიც „წარმოადგენს საბას პირველ სერიოზულ მეცნიერულ ბიოგრაფიას, დაწერილს გაშლით მე-17—18 საუკუნეთა ამბების ფონზე. აქაც ავტორის მიერ წყაროების ღრმა ცოდნას და მის კვლევით უნარს ეჯიბრება მისივე მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ხერხიანობა და წერის მანერა“.

საბა ორბელიანის იუბილესათვის მზადების (1959 წ.) დღეებში გ. ლეონიძე წერს: „მე კიდევ ერთხელ გავიხსენე ჩემი საყვარელი ხელოვნება — ძველი ქართული ხელნაწერების დაძებნა ოჯახებში, ქალაქად და სოფლად“.

მართლაც, იგი გავიდა თავისი ბინიდან, მიადგა ერთ-ერთ ოჯახს, სადაც, მკვლევრის გუმანით, შეიძლებოდა ქართული უცნობი ხელნაწერი ყოფილიყო. მასპინძელმა სანდო სტუმარს უჩვენა რამდენიმე ძველი ხელნაწერი, რომელთა შორის აღმოჩნდა „ორი მეტად საინტერესო ხელნაწერი: სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ და უცნობი პოეტური ანთოლოგია. უკანასკნელში, სხვა ლექსებთან ერთად, — წერს გ. ლეონიძე, — „აღმოჩნდა დღემდე უცნობი „ანბანთქმებანი“, ნათქვამი ორბელის ძის სულხანისა“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 123 (11544), 11.X.1949).

მრავალმხრივ და მთელ რიგ ახალ ცნობათა შემცველია გ. ლეონიძის გამოკვლევა, დართული ფეშანგის „შაჰნავაზიანის“ იმ გამოცემაზე, რომლის ტექსტსაც ჩვენმა მკვლევარმა მიაგნო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდში (ლენინგრადი) და იგი სოლ. იორდანიშვილთან ერთად გამოაქვეყნა (თბ., 1935 წ.).

ამ საისტორიო (მე-17 საუკუნის) პოემის ავტორი ფეშანგი ყოფილა ამირანამდილი (ამირას ძე), ხითარიშვილი, რომელსაც გაულეჩავს მეფე ვახტანგ მეხუთის, ანუ მაჰნავაზის, ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ ქართული საისტორიო პოემა — იოსებ ტფილელის (თბილელის) „დიდმოურავიანი“ (თბ., 1939).

აღსანიშნავია აგრეთვე გ. ლეონიძის ფართო ორგანიზაციული საქმიანობა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის შექმნისა და განვითარების საქმეში (ლიტერატ. გაზეთი „ბახტრიონი“, 1922-1923 წ. — რედაქტორი; ჟურნალები: „ცრდემლი“, 1923-24 — რედაქტორის მოადგილე: „დროშა“, 1924-1927 — რედაქტორი; „საქართველოს ეკონომისტი“, 1925-30 — რედაქტ. მოადგილე და საქართველოს მწერალთა კავშირის — 1952-57 — თავმჯდომარე), მისივე ინიციატივა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისა და სხვა მუზეუმების დაარსებაში.

საქართველოს ახლანდელ ლიტერატურის მუზეუმში პირველად ალ. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი მცირე გამოფენა გახსნა. გ. ლეონიძემ იგი რუსული და ქართული მწერლობის დაუფასებლობად ჩათვალა. მან მიაღწია იმას, რომ აქ შეიქმნა ხსენებული ლიტერატურული მუზეუმი 1951 წ.), რომელშიც შეიკრიბა უმდიდრესი დოკუმენტური მასალა ქართველი, რუსი და კავკასიაში ნამყოფი უცხოელი მწერლების ცხოვრების, შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ და დაფუძნდა ბიბლიოთეკაც.

ასევე გ. ლეონიძის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი სახლ-მუზეუმი საგურამოში, (სადაც 1951 წლამდე მოსკოვის ლიტფონდის დასასვენებელი სახლი იყო და მას მუზეუმის ნიმანწყალიც არ აჩნდა) და გაფართოვდა ჭავჭავაძისავე სახლ-მუზეუმი ყვარელში (1937 წ.).

უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის ის ამაგიც, რომელიც მან ჩვენი მდიდარი და სასიქადულო მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას დასდო. მან, როგორც დეპუტატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1955 წლის 13 აპრილს წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხუთი ათასამდე ისტორიული და არქიტექტორული ძეგლის დაცვის საქმეს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე აქამდე ექცეოდათ, და დასახელა იმის რამდენიმე ფაქტი, თუ როგორ ზიანდება ქართული მატერიალური კულტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

დეპუტატისა და საბიუჯეტო კომისიის წევრის გ. ლეონიძის ავტორიტეტულ სიტყვას ყურადღება მიექცა. გამოიყო დამატებითი თანხა და დასახულ იქნა დაღუპვის

(გაგრძელება მე-6 გვ.).

1 გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია

გამოკვლევა ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შესახებ გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. შრომის ავტორი პროფესორი დ. ფანჩულიძე აშუქებს იმ ისტორიულ-კულტურულ პროცესებს, რომლებმაც განსაზღვრეს ამ ქვეყნების ურთიერთინტერესი, დაახლოვეს ქართული და ფრანგული ლიტერატორები. იგი გვიჩვენებს, თუ რა როლი შეასრულა ამ მხრივ ქართველი და ფრანგი მწერლების, პოეტების, მთარგმნელების, მეცნიერების, მოგზაურების ნაწარმოებებმა.

საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დაინტერესდა საქართველოთი, მისი ხალხით, უძველესი კულტურით. ქართველოლოგიაში ფრანგმა საზოგადო მოღვაწეებმა გაუსწრეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას.

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა სათავეს იღებს XIII საუკუნეში და უფრო ინტენსიური ხდება XIX საუკუნეში. ამ დროისათვის ძლიერდება მთარგმნელობითი და საგამომცემლო მოღვაწეობა, იწერება და ქვეყნდება საქართველოსადმი მიძღვნილი ნარკვევები, რომანები, პიესები, ლექსები, გამოკვლევები.

დ. ფანჩულიძის გამოკვლევა ძირითადად აშუქებს XIX საუკუნის საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობას.

მკითხველი გაეცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომელიც ფრანგული ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ფრანგული ლიტერატურისადმი. მას პარალელი გაჰყავს გამოჩენილ ქართველ მწერალსა და ვიქტორ ჰიუგოს შორის. საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ჰიუგოს შემოქმედების გამოკვლევას.

საქართველო ინტერესებდა შატობრიანს, სტენდალს, ალექსანდრე დიუმა-მამას და ბევრ სხვა გამოჩენილ ფრანგ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. აკადემიკოსი მარი ბროსე დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და გამოაქვეყნა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე ჩვენი მხარის ისტორია. XIX საუკუნის თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ფრანგ კოლეგებთან.

თბილისელი სტუდენტების წარმატება

კარგი ტრადიციაა, რომ მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოსწავლე სტუდენტები ანგარიშს აბარებენ მშობლიური ქალაქის, რესპუბლიკის მსმენელებს. ასეთი კონცერტები ხშირად ეწყობა თბილისშიც. მუსიკალური საზოგადოებრიობა ბევრჯერ შეხვედრია ლიანა ისაკაძეს, ნანა იაშვილს, თეიმურაზ მათურელსა და სხვებს. ამას წინათ გამართულმა კონცერტმა, რომელიც მიეძღვნა თვალსაჩინო პიანისტისა და პედაგოგის ჰენრიხ ნეიჰაუზის ხსოვნას, გაგვაცნო კიდევ ერთი ნიჭიერი პიანისტი — მოსკოვის კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი რუსუდან ხუნწარია.

თბილისის მუსიკალური ათწლედის (რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ე. მგალობლიშვილის კლასი), ხოლო შემდეგ მოსკოვის კონსერვატორიასთან არსებული ცენტრალური მუსიკალური სკოლის აღზრდილმა რ. ხუნწარიამ მიიპყრო პედაგოგთა და მსმენელთა ყურადღება. ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის სტანისლავ ნეიჰაუზის ხელმძღვანელობით რ. ხუნწარია განაგრძობს სწავლას კონსერვატორიაში.

ახალგაზრდობის მიუხედავად რუსუდან ხუნწარიას საკონცერტო გამოსვლების უკვე საკმაო გამოცდილება აქვს. ორი წლის წინათ იგი წარმატებით გამოვიდა საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯ. გოკიელის დირიჟორობით. პროგრამაში იყო შოპენისა და სენ-სანსის კონცერტები. უკვე მაშინ მიიპყრო მან ყურადღება შთაგონებული შესრულებით.

ამ ცოტა ხნის წინათ პიანისტი დაბრუნდა პოლონეთიდან, სადაც ვარშავის კონსერვატორიის მიწვევით იყო. პოლონურმა გაზეთებმა და მსმენელებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი პიანისტის საშემსრულებლო კულტურას. აღნიშნეს მისი დაკვრის გამომსახველი მანერა.

ჰენრიხ ნეიჰაუზის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე რუსუდან ხუნწარიამ დაუკრა ბეთჰოვენისა და პროკოფიევის სონატები. ეს რთული პროგრამა მან ღირსეულად დაძლია.

— რ. ხუნწარია მზარდი პიანისტია. მისი მისწრაფება სრულყოფისადმი, ნიჭი და შრომისმოყვარეობა დაეხმარება ბევრი რამის მიღწევაში, — თქვა სტანისლავ ნეიჰაუზმა. — მის შესრულებას ახასიათებს ნაწარმოების სტილის ზუსტი გაგება.

ქართველი ერუვნული მოღვაწე

(გაგრძელება).

პირზე მიმდგარი რამდენიმე ძეგლის ადგილსამყოფელი ცნობისმოყვარეებმა, რითაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს საქმიანობა გაძლიერდა და შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ისტორიული ნაგებობის რესტავრაცია და რამდენიმეს შეკეთებაც.

გ. ლეონიძემ მისთვის დამახასიათებელი ინიციატივა გამოავლინა აგრეთვე ქართული სტამბის თბილისში დაარსების 250 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში (იხ. მისი წერილი „ქართული სტამბა 250 წლისაა“, 1709-1959 წ. — გაზ. „კომუნისტი“, 15.X.1959 წ.).

ასევე მოიქცა იგი სულხან-საბა ორბელიანისა და მთელი რიგი ჩვენი ეროვნული მოღვაწეების იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დასახვისა და განხორციელებისას.

აქვე შევნიშნავთ: რათა ჩანაწერები დოკუმენტური ყოფილიყო, ჩვენ 1949 წელს მივმართეთ ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს გ. ლეონიძეს, სტენოგრაფიულად ჩაწერილიყო მაშინ ცოცხალი მატიანის აკად. ქრისტინე თაყაიშვილის მოგონებები უფროსი თაობის ქართულ მოღვაწეებზე. მაშინდელი ზოგიერთი ვითარების გამო საქმე ძალიან გაჭიანურდა. ჩვენ მაინც არ მოვეშვით და ბოლოს გ. ლეონიძემ პირადი პასუხისმგებლობით გამოგზავნა მხცოვანი მეცნიერის ბინაზე ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლები სტენოგრაფითურთ. ჩაიწერა და გვაქვს ძვირფასი მასალა, რომელიც მთლიანად ხსენებულ მუზეუმშია დაცული. ის ნაწილობრივ გამოქვეყნდა კიდეც (გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა. იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 6, ნაკვეთი I, თბ., 1952 წ., გვ. 3-63; შდრ. ჩვენი წერილი გაზ. „სამშობლოს ხმაში“, 1969 № 4, გვ. 5)[1].

[1] იმავე დროს მ. თაყაიშვილმა ლიტერატურულ მუზეუმს გაუგზავნა ეგნატე ნინოშვილის პირადი ბარათი, რომლითაც გარკვეა მწერლის მიერ ერთ-ერთი ნაწარმოების („ჯანყი გურიაში“) შექმნის ზოგი საკითხი. შდრ. დ. შუღლიაშვილის წერილი ჟურნ. „დროშაში“, 1959 № 4, გვ. 5.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მკვლევარ გ. ლეონიძეს საქართველოს არქივებს გარეთაც უმუშაენია და მოსკოვის, ლენინგრადისა და რუმინეთის სიძველეთსაცავებში არა ერთი დოკუმენტი აღმოუჩენია.

მის მიგნებათა შორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია ე. წ. ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გამოვლინება.

გ. ლეონიძემ ყურადღება მიაქცია პლ. იოსელიანის ცნობას: „აჰა, რტველისს, მეფის ირაკლის ასულს აქვნდა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი სახით ანუ პორტრეტითურთ რუსთველისა, ერისკაცისა სამოსით... ესე წიგნი და პორტრეტი წარ ვ უდგინე ქნიაზს მ. ს. ვორონცოვსა“.

ამის მიხედვით გ. ლეონიძემ ივარაუდა[1], რომ ვორონცოვის პირად არქივში ხსენებული ხელნაწერებიც აღმოჩნდებოდა.

დასახელებული ხელნაწერის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რაც შემდეგ მოხდა, შედარებით ვრცლად აღვნიშნავთ.

გ. ლეონიძის მიერ გამოთქმული აზრისა და შ. რუსთაველის იუბილესათვის (1937 წ.) დაწყებული მზადებისას, თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა 1934 წლის დეკემბერში ლენინგრადს მიავლინა მასზე დაქვემდებარებული რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი შურა (ალექსანდრე ივანეს-ძე) დუდუჩავა (1900-1937).

მაშინ ჩვენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურას ვამთავრებდით. აღ. დუდუჩავა მოვიდა ჩვენთან, მოვნახეთ მ. ს. ვორონცოვის კოლექცია აკადემიის ისტორიულ-არქეოგრაფიულ არქივში, და იქ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტისა, და უშესანიშნავესი მორთულობის ხელნაწერი, რომელსაც პლატონ იოსელიანის ხელით ეწერა: «Книга эта: «Барсова кожа» принесена въ даръ князю М. С. Воронцову княземъ Александром Вахтанговичемъ Орбелиановым 1 сент. 1853 года. Тифлисъ».

მაშინვე დეპეშა გაიგზავნა თბილისში... სამი დღე დავდიოდით არქივში აღ. დუდუჩავა, ლენინგრადში მაშინ ჩამოსული მიხ. ჩიქოვანი და ჩვენ. ამ სტრიქონების ავტორმა ხელნაწერი XVII საუკუნით დათარიღა; ზოგიერთები კი მას გაცილებით ადრინდელად თვლიდნენ. შემოწმდა გვერდების რაოდენობა და შედგა აქტი. ხელნაწერის 02 ფურცელზე აღინიშნა, რომ მას რამდენიმე ფურცელი აკლია; აღწერისას მასში 190 ფურცელია (აქტი შედგა რუსულ ენაზე 1935 წ. 1 იანვარს. მაშინ მოქმედი ექვსდღიურის გამო, ახალ წელს ვმუშაობდით).

ხელნაწერი აღ. დუდუჩავას ჩაბარდა თბილისში წამოსაღებად 1935 წ. 1 იანვარს და ამ საქმის ქართველ მონაწილეთათვის მაშინდელი ახალი წელი ორმაგი დღესასწაული იყო...

შემდეგ ეს ხელნაწერი ვნახეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ახლა — ხელნაწერების ინსტიტუტის, Q — 1082) და მასზე ვკითხულობთ შემდეგს:

„ეს ხელნაწერი პირველად ვიპოვე (! 0. მ.) სამეცნიერო-აკადემიის ისტორიულ-არქეოგრაფიულ ინსტიტუტის არქივში 27.XII.34 წ. ქ. ლენინგრადში. წავიკითხე 27 და 28 დეკემბერს.

მივიღე რუსთაველის სახელობის ინსტიტუტისათვის პირველ იანვარს 1935 წ.

ა. დუდუჩავა. 2.I-35 წ. ქ. ლენინგრადი“.

[1] თავის ერთ-ერთ მოხსენებაში გ. შარაძემ აღნიშნა: „გ. ლეონიძეზე ორი წლით ადრე კრებულ „ლიტერატ. ნასლედსტვო“-ს IX-X ტომში (1933 წ. მოსკოვი) გამოქვეყნდა 0. ტროიცკის წერილი, რომელშიც იყო თქმული, რომ ვორონცოვის არქივში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ინახებაო. გ. ლეონიძე ალბათ იცნობდა ამ წერილსაო.



სტუდენტობა

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს საგამოცდო სესიები. სტუდენტები გადასასვლელ გამოცდებს აბარებენ... მაგრამ თუ ზოგი მომავალი წლიდან მორიგ კურსზე გაიგრძობს სწავლას, ზოგიც, უკვე უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული, დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგება. ეს ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გამოცდის წინ გადაიღო, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. რამდენიმე დღეც, და ისინი უკვე ცხოვრებას პრაქტიკულ გამოცდას ჩააბარებენ.

ფოტო გ. გოგოხიასი.

პრესაში პირველი წერილი სათაურით „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერის შესახებ (წინასწარი დახასიათება, მოკლე ისტორიული ცნობები)“ ალ. დუდუჩავამ გამოაქვეყნა (გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ. 11 თებერვალი, № 36, გვ. 3; იგივე — ალ. დუდუჩავა. რჩეული წერილები, თბ., 1966, გვ. 183-189).

აღნიშნული „ეს ხელნაწერი პირველად შეიპოვა...“ — (ვიპოვე უშუალოდ!) — არაა ზუსტი და ავტორი მას დასახელებულ გამოქვეყნებულ წერილში აღარც იმეორებს. მასში ლაპარაკია სავერთოდ პოვნაზე („ხელნაწერი ნაპოვნია...“ იხ. ციტ. „რჩეული წერილები“, გვ. 183).

ამ წერილის შემდეგ დაიბეჭდა გ. ლეონიძის წერილიც — „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი (წინასწარი ცნობები)“ (გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ. 1 მარტი, № 52, გვ. 2).

ის გარემოება, რომ პირველის წერილი მეორეზე ადრე გამოქვეყნდა, ზოგიერთს გზას უბნევს და ცალკეული ასეთთაგანნი ხელნაწერის კვალის მიგნებასაც პირველსავე მიაწერენ!..

ჩვენ მაინც ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ს. კაკაბაძე სწორად ამბობს: გ. ლეონიძე „თავისი ინტუიციით შეუდგა ვორონცოვის არქივში“ აღნიშნული ხელნაწერის ძებნას, ოღონდ იგივე ს. კაკაბაძე არასწორად აღნიშნავს, თითქოს ეს არქივი მოსკოვში ყოფილიყოს დაცული და ჩვენთვის საინტერესო წიგნიც, თითქოს, იქვე აღმოჩენილიყოს („მნათობი“, 1959, № 12, გვ. 109).

როგორც ზემოთ ითქვა, ეს არქივი ლენინგრადშია და ხელნაწერიც იქვე აღმოჩნდა. ზოგიერთნი სწორად ასახელებენ ლენინგრადს, ოღონდ ურევენ ხელნაწერას ყოფილ ადგილსამყოფელს. მომავალში გაუგებრობის აღსაკვეთად საჭიროა დავაზუსტოთ. ალ. დუდუჩავას პირველი სტატია განმეორებულია ავტორის „რჩეულ წერილებში“ (თბ., 1966). აქ უკვე შეცდომით არის დაბეჭდილი: ხელნაწერი „ნაპოვნია მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ (—) არქიოლოგიურ ინსტიტუტში“-ო (გვ. 183).

იგივე შეცდომა უფრო ადრე დაშვებულია მიხ. ჩიქოვანის წიგნის „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ პირველსა (თბ., 1936 წ., გვ. 5) და მეორე (თბ., 1937 წ., გვ. 5) გამოცემებში. შემდეგ სხვა წიგნებშიც გვითხულობთ: ხელნაწერი აღმოჩნდა „საავშიროო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში...“ (სოლ. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 303).

იგივეა განმეორებული ს. ყუბანეიშვილისავე საინტერესო წიგნშიც — „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“ (თბ., 1966, გვ. 13).

აქ ყველგან არასწორად წერია ისტორიულ-არქეოლოგიური... ხსენებული არქივი ინახება არა ისტორიულ-არქეოლოგიურ[1], არამედ ისტორიულ-არქეოგრაფიულ ინსტიტუტში, რომელიც სხვაა და სხვა ადგილზე მდებარეობდა, ვიდრე პირველი.

წინასწარი ცნობების შემდეგ ამავე ხელნაწერის თაობაზე საფუძვლიანი გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“ გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა საერთო კრებულში („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, — თბ., 1935, გვ. 19-36) და დაიბეჭდა ავტორისავე კრებულში („ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მე-17—18 ს.“, ტ. I, თბ., 1949, გვ. 304-323 და „გამოკვლევები და წერილები“, თბ., 1958, გვ. 187-208).

გ. ლეონიძის კრებულ „გამოკვლევებსა და წერილებში“ მოთავსებულია გ. ლეონიძის რუსთველოლოგიური სხვა წერილიც და ჩვენ ქვემოთ ყველგან ამავე კრებულის გვერდზე მივუთითებთ.

გამოკვლევაში მიმოხილულია საკითხები:

1. ხელნაწერის თავგადასავალი,
2. ლიტერატურა,
3. ხელნაწერის აღწერილობა,
4. (კალიგრაფიის მიმართვა) სარდალ სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილს,
5. ხელნაწერის პირველი მპატრონე,
6. ზაზა ციციშვილი (ცნობები მასზე),
7. ხელნაწერის დასათაურებისათვის,
8. ხელნაწერის მნიშვნელობისათვის.

გ. ლეონიძე ადგენს, რომ ხელნაწერი მე-17 საუკუნის 60-იან წლებშია შესრულებული, ალბათ — 1661-1664 წლებშიო (გვ. 204). მანვე უწოდა მას და შერჩა სახელად ზაზასეული ვეფხისტყაოსანი. გ. ლეონიძის გამოკვლევით, იგი სარდალ სახლთუხუცესის ზაზა პაპუნას ძე ციციშვილის დავალებით იოსებ ტფილელს (საბაძეს, გარდ. 1688 წ.) გადაუწერია.

ერთი მიზეზის გამო, ზაზას მოკვლისა და მისი ოჯახის დარბევის შემდეგ, ეს „ხელნაწერი ხელთ ჩავარდნია ლევან ბატონიშვილს, ანუ ლევან მირზას, მერე ვახტანგ მეექვსეს, რომლისაგანაც შესაძლოა მის ასულს თამარს, ერეკლე მეორის დედას, მზითევშიც შეხვდა.

ერეკლესაგან კი ხელნაწერი რგებია მის უმცროს ქალს თეკლე ბატონიშვილს, რომლის პირმშოს ალექსანდრე ორბელიანს იგი 1853 წლის 1 სექტემბერს ვორონცოვისათვის მიუძღვნია პლატონ იოსელიანის ხელით, და შეიძლება მისივე რჩევითაც (გ. ლეონიძე, ციტ. კრებული, გვ. 187), როგორც იშვიათი საჩუქარი.

მ. ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ ეს წიგნი ამ ახალი მეპატრონის არქივში ინახებოდა ჯერ ყარიმში, შემდეგ ოდესაში და ბოლოს — ლენინგრადში. აქედან ის 1935 წლის 5 იანვარს თბილისში იქნა ჩამოტანილი.

საყურადღებოა მოსაზრებაც, რომლითაც 1712 წელს ვახტანგ მეექვსემ რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამოაქვეყნა, ზაზასეული ხელნაწერი ვახტანგის „სამუშაო ეგზემპლარი თუ ეგზემპლართაგანი ყოფილა“ (იქვე, გვ. 205).

გ. ლეონიძე აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი in folio — 36 X 26, ე. ი. დიდი ფორმატის წიგნია, რომელშიც ახლა 190 გვერდია, მაგრამ, თავდაპირველად მასში, როგორც ამას ხელნაწერის ანდერძი იუწყება, 212 ფურცელი ყოფილა.

ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ მოხატულობით ერთ-ერთი უმდიდრესი და ტექსტობრივად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელთნაწერთაგანი. მისივე კუთვნილება ყოფილა ის ცნობილი გაგარინისეული რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ოფიციალურად გავრცელდა საქართველოში“ (გ. ლეონიძე, ციტ. კრებული, გვ. 192).

ამავე გამოკვლევაში ავტორი საყურადღებო ასეთ მოსაზრებასაც გამოთქვამს: „როგორც იოსებ ტბილელის მაგალითიდანაც ირკვევა, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორები, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერლებს შორის უნდა ვეძიოთ“ (გვ. 208).

დასახელებულ ძირითადად აღწერილ ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის“ საერთო მნიშვნელობისა და იდეური მხარეების შესახებ აქვს გ. ლეონიძისავე წერილი «Жизнь гениальной поэмы», რომელიც პირველად გამოქვეყნდა გაზ. «Известия»-ს 1937 წ. 17 მარტის № 66-ში (გვ. 3). ამისი როგორც ერთ-ერთი საყურადღებო წერილთაგანის, ინგლისური თარგმანი ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა, პროფ. უილიამს ალენმა დაბეჭდა თავის ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიურ ორგანო „Georgica“-ში (ლონდონი, 1937, № 4-5, გვ. 13-16), რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა (ორგანოს სწავლული მდივანი იყო ანდრია გუგუშვილი). სტატიის რუსული ტექსტი შესულია გ. ლეონიძის კრებულ „გამოკვლევებსა და წერილებში“ (თბ., 1958, გვ. 209-213).

რუსთველის პოემაში, — ამბობს აქ გ. ლეონიძე, — საგმირო ეპოსი და ვაჟკა-

(დასასრული მე-10 გვ.)

1 შდრ. ჩვენი რეცენზია ჟურნ. „მნათობი“, 1968 № 3, გვ. 192.

დოქტორი მერაბი

ამ ოთხიოდე წლის წინათ აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, ეთიოპიაში საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის საავადმყოფოში სამუშაოდ მიწვეული იყო პროფესორი ვახტანგ ალადაშვილი.

ეთიოპიაში გამგზავრების წინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა სთხოვეს ალადაშვილს შეეკრიბა მასალები ქართველ მოღვაწე პეტრე მერაბიშვილზე, რომელიც ჩვენი საუკუნის 20 — 30 წლებში მოღვაწეობდა ეთიოპიაში.

პროფესორი ვ. ალადაშვილი ერთ წელს დარჩა ადის-აბებაში. ის გულმოდგინედ ეძებდა ცნობებს სახელგანთქმულ ქართველ ექიმზე და კიდევაც შეკრიბა ეთიოპიაში მისი მოღვაწეობის ამსახველი მასალები. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა პროფესორ ალადაშვილს და სთხოვა მას „სამშობლოს ხმის“ მკითხველებისათვის გაეცნო დოქტორ მერაბის ცხოვრება.

— ადის-აბებაში ჩასვლისთანავე, — მოგვითხრობს პროფესორი ალადაშვილი, — მოვიკითხე, თუ ვინმე იცნობდა პეტრე მერაბიშვილს. ამ დროს ჟურნალ „ეფიოპია ობსერვერში“ გამოქვეყნდა პროფესორ პან ჰარსტის წერილი „თანამედროვე მედიცინის საწყისები ეთიოპიაში“, სადაც ის აღნიშნავს, რომ პეტრე მერაბიშვილი ითვლება ეთიოპიის თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

მე მაშინვე მივედი პროფესორ პან ჰარსტთან ადის-აბებას უნივერსიტეტში, ვინახულე ის, გავეცანი, რომ მე ვიყავი პეტრე მერაბიშვილის სამშობლოდან და გადავეცი მერაბიშვილის სურათი, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. ჟვანიამ გამატანა პროფესორ გ. წერეთლის დავალებით. თან ვთხოვე უფრო დაწვრილებით გაეცნო ჩემთვის მერაბიშვილის ეთიოპიაში მოღვაწეობის ამბავი

მან მითხრა, მერაბიშვილთან იყო ვიღაც ქალი, არ ვიცი და იყო მისი თუ ცოლი, ის უკვე გარდაცვლილია და თქვენთვის ხომ არ არის ცნობილი რაიმე მის შესახებო. მე, რასაკვირველია, არაფერი ვიცოდი, მაგრამ ვიფიქრე, რახან კათოლიკე იყო, მაშინ, ალბათ, კათოლიკეების სასაფლაოზე იქნება მეთქი დასაფლავებული და მეორე დღეს მე და ჩემი მეუღლე გავემგზავრეთ გულელას კათოლიკურ სასაფლაოზე. აქ მართლაც ვნახეთ ჟანინა მერაბის, პეტრე მერაბიშვილის მეუღლის საფლავი და ყვავილებით შევამკეთ იგი.

პეტრე მერაბიშვილი დაიბადა 1876 წლის სამხრეთ საქართველოს (ამჟამად ადიგენის რაიონის) სოფელ უდეში. მამამისი პავლე საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა. მერაბიშვილები კათოლიკები ყოფილან. ეს სარწმუნოება მათ ფრანგმა მისიონერებმა მიაღებინეს; ბევრი მათგანი ფრანგული ენითაც სარგებლობდა და საფრანგეთში განათლების მიღებასაც მოჰკიდეს ხელი. ასეთი განათლება ჰქონდათ მიღებული პავლეს ოჯახის წევრებსაც.

12 წლის ასაკიდან პეტრე კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა უფროს ძმასთან იოსებთან, რომელიც სასულიერო პირი იყო და ქართული კონგრეგაციის სამონასტრო სკოლის დირექტორად მუშაობდა.

სამონასტრო სკოლის დამთავრების შემდეგ პეტრემ არ მოისურვა სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელება და პარიზში გაემგზავრა, სადაც სამედიცინო განათლება მიიღო.

ახალგაზრა ექიმი კვლავ კონსტანტინოპოლს დაბრუნდა. აქ იგი მუშაობდა ეთიოპიის წარმომადგენლობის წევრებს, რომლებსაც რას მანგაშა ვორკე ხელმძღვანელობდა. 1908 წელს ექიმი პეტრე მერაბიშვილი ეთიოპიაში სამუშაოდ მიიწვია იმპერატორმა მენელიქ მეორემ. ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში პეტრე მერაბიშვილი მუშაობდა იმპერატორის პირად ექიმად და კარის ექიმად. 1910 წლის 1 დეკემბერს, ადის-აბებაში, რას მაკონენის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობდა, პ. მერაბიშვილმა დააარსა ამბულატორია და აფთიაქი „საქართველო“. ეს იყო პირველი სპეციალური აფთიაქი ეთიოპიაში. მანამდე თვით მკურნალი ექიმები აძლევდნენ წამალს ავადმყოფებს. მათი სამსახურით მოსახლეობის მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილი სარგებლობდა. უმეტესობას წამლით ამარაგებდნენ ექიმებაშები. წამლით ვაჭრობდნენ უმეცარი ვაჭრებიც, რომლებიც საზღვარგარეთიდან შემოტანილ მედიკამენტებს ძალიან მაღალ ფასში ყიდდნენ სხვა საქონელთან ერთად.

აფთიაქი „საქართველო“ კარგად იყო მომარაგებული მედიკამენტებით. 700-ზე მეტი წამალი იყიდებოდა იქ ეთიოპი მოსახლეობისათვის, თანაც შედარებით მისაწვდომ ფასად. „საქართველოს“ მოღვაწეობა ამჟამად დიდად არის შეფასებული მედიცინის ისტორიკოსთა მიერ, რადგან აქედან დაიწყო ეთიოპიაში საფთიაქო საქმის განვითარება და წამლებით მოვაჭრეთა უმეცარი საქმიანობის შესუსტება.

თავდაპირველად პეტრე მერაბიშვილი ეთიოპიაში 7 წელს დარჩა. 1915 წელს კი პარიზს წავიდა, სადაც პირველი მსოფლიო ომის წლებში სამხედრო ექიმად მუშაობდა ჰოსპიტალში. ამ დროს შეირთო მან ჟანინა ლამეირი და მასთან ერთად 1922 წლის 24 თებერვალს ისევ დაბრუნდა ადის-აბებაში. ჟანინა მერაბი გარდაიცვალა 1927 წელს.

პეტრე მერაბიშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ დაწერილი წიგნები. ეს შრომები გამოცემულია პარიზში ფრანგულ ენაზე. ნაშრომში „ეთიოპიის მედიკოსები და მედიცინა“ (1912 წ.) ფართოდ არის აღწერილი და განხილული ეთიოპიის ხალხური მედიცინა. ამ ქვეყანაში მრავალი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა სრულიად ორიგინალური მედიცინა. მერაბიშვილი აღნიშნავს, რომ ეთიოპიაში მედიცინა წარმოადგენს პაპოკრატეს ხელოვნებას და არა მეცნიერებას, რომ ასტროლოგია და მაგია ერთად არის ეთიოპური მედიცინა. იგი დაწვრილებით განიხილავს სხვადასხვა დაავადების გავრცელებას ქვეყანაში. აღწერილი აქვს მკურნალობის მეთოდები და განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეები და წამალთა რეცეპტურა.

პეტრე მერაბი იყო არა მარტო ბრწყინვალე ექიმი და მედიცინის მკვლევარი, არამედ შესანიშნავი მწერალი და ეთნოგრაფი. მას ეკუთვნის სამტომიანი „შთაბეჭდილებები ეთიოპიაზე“, რომელიც პარიზში გამოიცა 1921-1929 წლებში. ეს თხზულება მიმზიდველია თავისი ფორმით, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, და ამავე დროს შეიცავს მდიდარ მასალას ეთიოპიის ბუნების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე.

სამშობლოს მოწყვეტილი პეტრე მერაბიშვილი დიდი პატრიოტი იყო. ეს იგრძნობა მისი წიგნის პირველი სტრიქონებიდანვე. იგი ამაყობს თავისი ქვეყნით და ქართველი ერით, იგონებს სამშობლოს გმირულ წარსულს, ლეგენდებს. ეთიოპი ხალხის თავისუფლების მოყვარულ ბუნებას ადარებს ქართველების მებრძოლ, შეუდრეკელ სულს. სიყვარულითა და აღტაცებით აღწერს საქართველოს ბუნებას და დიდ მსგავსებას პოულობს ეთიოპიასა და საქართველოს შორის.

განვითარების თანამედროვე გზაზე ახლახან დამდგარ ეთიოპიასა და დღევანდელ საქართველოს შორის სოციალური თვალსაზრისით, ცხადია, განსხვავება ეპოქებით განიზომება, მაგრამ ხალხის ტრადიციულ ურთიერთობაში, ხასიათში მაინც იგრძნობა რაღაც საერთო, რაც პეტრე მერაბიშვილმა თავის დროზე აღნიშნა. ეთიოპი ხალხიც საუკუნეების განმავლობაში ვაჟკაცურად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს, იცავდა ქრისტიანობას და არასოდეს არ დამონებულა. ეთიოპები ძალიან გულთბილნი არიან ერთმანეთთან ურთიერთობაში, სწამთ მეგობრობა, ნათესაობა; ღარიბნი არიან, მაგრამ ყოველთვის გულუხვად უწვდიან ხელს გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს. ეთიოპები ამაყობენ თავისი გმირული წარსულით, პატივს სცემენ სახელოვან წინაპართა ხსოვნას.

„შთაბეჭდილებების“ მეორე და მესამე ტომებში აღწერილია ეთიოპიის გეოგრაფია, ბუნება, მოცემულია ისტორიული ცნობები. ავტორი გვაცნობს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს, სხვადასხვა ტომებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ფართო ადგილი აქვს დათმობილი ქალაქების აღწერას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეოცე საუკუნის დასაწყისის ისტორიის შესწავლისათვის, იმ პერიოდისათვის, როდესაც ეთიოპიაში შემოიჭრა ბურჟუაზიული ურთიერთობა და დაიწყო ფეოდალური სისტემის რღვევა. მოყვანილია ლეგენდები ზოგიერთი ქალაქის აშენების და სახელწოდების შესახებ.

პეტრე მერაბიშვილი განიხილავს ეთიოპიის გამაერთიანებლის, თანამედროვე სახელმწიფოს შემქმნელის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის იმპერატორ მენელიქ მეორის ღვაწლს, მაღალ შეფასებას აძლევს მას, როგორც გამჭრიახ მმართველს, ნიჭიერ მხედართმთავარს, აღწერს მის ბრძოლებს. მერაბიშვილის მიერ მენელიქ მეორის ეპოქის და პიროვნების სწორი შეფასება დადასტურებულია მომდევნო პერიოდის ეთიოპ და უცხოელ მკვლევართა მიერ.

დიდი ინტერესით იკითხება ის თავებიც, რომლებშიც აღწერილია იმდროინდელი მორალის, ქორწინების და სამართლის საკითხები.

დოქტორი მერაბი ძალიან პოპულარული ექიმი იყო. მას ახლაც დიდი პატივისცემით იხსენებენ ადის-აბებაში. აფასებენ მის პროფესიულ მოღვაწეობას და ადამიანურ თვისებებს. დოქტორ მერაბის მოღვაწეობას დიდად აფასებენ როგორც თვით ეთიოპიელები, ისე სხვა ქვეყნების მეცნიერები. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მერაბიშვილის შრომებს ცნობილი პოლონელი ეთიოპისტი პროფესორი ს. სტრელცინი. თავის წიგნში „ეთიოპიის მედიცინა და მცენარეები“ (ვარშავა, 1968) იგი ხშირად მიმართავს მერაბის ნაშრომს „ეთიოპიის მედიკოსები და მედიცინა“. ადის-აბებაში გამოსაცემად მომზადებულია ცნობილ პირთა ბიოგრაფიების ლექსიკონი, რომელშიც საპატიო ადგილი დაეთმობა დოქტორ მერაბსაც.

პეტრე მერაბიშვილს თავის ნაწერებში მოხსენებული აქვს კიდევ რამდენიმე შრომა, რომელთა გამოქვეყნება მან ვერ მოასწრო. ალბათ, საფრანგეთში სადმე დაცულია მისი ხელნაწერები. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება მეტი რამ შევიტყოთ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის საინტერესო და ნაყოფიერი მოღვაწეობის, თავისებური და სევდიანი ბედიღბლის შესახებ.

აკადემიკოს გ. წერეთელს უნდა გუმადლოდეთ ამ საინტერესო პიროვნების აღმოჩენას. მანვე მოაგვარა საქართველოში მერაბიშვილის ნაშრომების ფოტოასლების შეძენის საქმე.

რაც დღემდე არ იკურნებოდა

მეცნიერთა ლაბორატორიებში

◆

ქართველმა სპეციალისტებმა, რომლებიც სწავლობენ შინაგანი ორგანოების აღნაგობასა და ფუნქციას, აღმოაჩინეს ღვიძლის მართული ოპერაციების გზა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნათელა მამფორიამ დაადგინა, რომ ღვიძლი შედგება ექვსი მუდმივი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სეგმენტისაგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება ამოიკვეთოს ისე, რომ არ დაირღვეს ორგანოს ნორმალური მოქმედება. ეს საშუალებას იძლევა გაკეთდეს ღვიძლის ნაწილობრივი რეზექცია და შენარჩუნებულ იქნეს დარჩენილი ნაწილის ფუნქციები, რაც წინათ შეუძლებლად მიაჩნდათ.

დღემდე ღვიძლის ოპერაციებს აკეთებდნენ ბრმად, რადგან ცნობილი არ იყო ამ ორგანოს შიგნით სისხლძარღვების რთული ხლართის ზუსტი განლაგება.

ნ. მამფორიამ შეისწავლა კომპლექსურად ღვიძლის სხვადასხვა სისტემა, გააკეთა სისხლძარღვების ასზე მეტი გამოკვლევა. ღვიძლის კაპილარების სტრუქტურის გამოსავლინებლად მორფოლოგმა გამოიყენა ორიგინალური მეთოდიკა. ღვიძლის სისხლძარღვების ხლართი მოგვაგონებს ყურძნის მტევანს ექვსი ცალკე მარცვლით. მეცნიერმა განსაზღვრა სეგმენტების პროექცია ორგანოს ზედაპირზე და შემოიღო ერთიანი ტერმინოლოგია.

თინათინ ბურჯანაძის მიერ შესრულებული ბიოქიმიური გამოკვლევების შედეგად დაადგინეს ღვიძლის ნაწილობრივი რეზექციის შესაძლო საზღვრები. ამ გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ცვლილებებს, რომლებიც ხდება ორგანოს ორი მესამედის ამოკვეთის დროს სწრაფად აღადგენს დარჩენილი ნაწილის და უკვე 16-18 დღის შემდეგ ორგანოს ფუნქცია სავსებით ნორმალური ხდება. გარდა ამისა ოპერაციის შემდეგ უჯრედების ინტენსიური ზრდა იწვევს ღვიძლის თავდაპირველი ზომის აღდგენას. ეს ექსპერიმენტები განხორციელდა ცხოველებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ნინო ჯავახიშვილმა (კვლევა ამ ინსტიტუტში მიმდინარეობდა) თქვა, რომ გადადგმულია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ღვიძლის ქირურგიის განვითარებაში. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ღვიძლის დაავადების დროს, პირველ რიგში სიმსივნეების დროს, შესაძლებელი გახდება ქირურგიული გზით ავადმყოფის განკურნება სნეულებისაგან, რომელიც დღემდე განუკურნებლად ითვლებოდა.

ზღაპრულ მიწისქვეშა დარბაზებში

საქართველოს სპელეოლოგიურ (მიწისქვეშა) ტურიზმს განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს. ბუნების მიერ შექმნილი ასობით ღრმა გამოქვაბული ხდება გაბედულთა ტურიზმის ადგილი.

ახალი ათონის მახლობლად მდებარეობს ანაკოფიის უფსკრული გიგანტური მიწისქვეშა დარბაზებით, რომელსაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა „უფსკერო“ უწოდეს. 1961 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგთა პირველმა ექსპედიციამ გამოიცნო ანაკოფიის უფსკრულის საიდუმლოებანი. მას შემდეგ აქ იყო ხუთი ექსპედიცია. მეოთხე ექსპედიციაში სპელეოლოგებთან ერთად მონაწილეობდნენ დამპროექტებელი ინჟინრები, რომლებმაც შეადგინეს ანაკოფიის გამოქვაბულების კეთილმოწყობის პროექტი. მეხუთე ექსპედიციამ, რომელმაც ღრმა უფსკრულებში 352 საათს დაჰყო, გადაიღო ფერადი კინოფილმი.


შეიქმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი

საქართველოს ქორეოგრაფიული და მუსიკალური საზოგადოების პრეზიდიუმთან შეიქმნა საჩვენებელი ქორეოგრაფიული ანსამბლი. მას ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჯოხონელიძე.

ახალი ანსამბლის მიზანია აღადგინოს ძველებური ეროვნული ცეკვები, დადგას როგორც ქართული, ისე სხვადასხვა ხალხთა თანამედროვე ცეკვები.

ახლა საქართველოს თითქმის ყოველ რაიონში არის ქორეოგრაფიული კოლექტივები. შექმნილი ანსამბლი მათ დაეხმარება რეპერტუარის შერჩევაში, საკონცერტო პროგრამების მომზადებაში.

მალე ახალი ანსამბლის ხელოვნებას გაიცნობენ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელები.



საქართველოს ქალაქებში



გვიანი ღამეა თბილისში (სურათზე ზემოთ), მტკვრის სანაპიროზე სიწყნარეა. გაჩახჩახებულ სინათლეზე თვლემენ ახალგაზრდა ჰადრები. ისინი აქ სულ სამიოდე წელია დარგეს. ახლა მათი თანატოლები უკვე არა მარტო აქ, არამედ მტკვრის ორივე მხარეზე — დიღმიდან ორთაჭალამდე შრიალებენ, ფართო მოასფალტებულ ქუჩებს, სანაპიროებს ამშვენებენ. ხიდის მიღმა ჩანს სასტუმრო „ივერიის“ მაღლივი შენობა.

ქვემოთ — სოხუმი. ათასობით ტურისტი და დამსვენებელი ათვალიერებს აქაურ ბოტანიკურ ბაღს. ეს ქალაქის მართლაც ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხეა.

ფოტო ს. თევზაძისა და ი. ჯოხონელიძისა.

ატომბულის ქცევის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსმა-თეორეტიკოსებმა. მათმა ნაშრომებმა, რომლებიც დადასტურებულია საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა ექსპერიმენტებით, შესაძლებელი გახადა პირველად გამორკვეულიყო მსუბუქი ატომბულების ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი თვისება.

ქართველმა ფიზიკოსებმა, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს იმ პროცესების თეორიული გამოკვლევა, რომლებიც წარმოიქმნება ელემენტარული ნაწილაკების შეჯახების დროს ლითიუმის, ბერილიუმის, ნახშირბადის, აზოტისა და ჟანგბადის ატომბულებთან, ცხადყვეს, რომ ატომგულები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნუკლონებით, პი-მეზონებთან შეჯახების დროს სულ სხვადასხვანაირად იქცევიან.

ღლის საუკეთესო გამოკვლევა

სამუშაოს ხელმძღვანელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა თ. კოპალეიშვილმა ჩვენს კორესპონდენტს აცნობა:

— ატომგულის სტრუქტურის გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მათი შემადგენელი ნაწილების — ნუკლონების ურთიერთმოქმედების ხასიათი, ჩავწვდეთ მათ კანონზომიერებებს და გამოვარკვიოთ, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს თანამედროვე წარმოდგენები ატომგულის აღნაგობის შესახებ. ამ მიზნით ატომგულზე ზემოქმედებას ახდენენ გამა-კვანტებით, ელექტრონებით, ნუკლონებით. ატომგულის სისტემასთან ამ ნაწილაკების შეჯახების შედეგად იგი შეიძლება აღიგზნოს, ესე იგი ატომგული შეიძლება შეირყეს და დაიშალოს კიდეც ცალკეულ ნაწილებად— ნამსხვრევებად, ამასთან გამოვლინდება მისი სიღრმივი თვისებები. აღგზნებული ატომგული იწყებს სხვადასხვა ნაწილაკის გამოხსივებას, რომლებიც აღირიცხება ცდაში. ამ ბოლო დროს ატომგულებს დაუშინეს პი-მეზონები, რომლებიც წარმოადგენენ შუამავლებს ნუკლონებს შორის და ეხმარებიან მათი ურთიერთმოქმედების ვანხორციელებას.

ლითიუმ — ექვსის ელემენტარული ნაწილაკებით ატომგულის დაბომბვის შედეგად ქართველმა ფიზიკოსებმა დაამტკიცეს, რომ არსებობს მათ მიერ წარმოდგენილი ამ მსუბუქი ატომგულის ალფადეიტრონული მოდელი. მათ დაადგინეს, რომ ლითიუმის ატომგული შედგება ჰელიუმისა და მძიმე წყალბადის ატომგულისაგან, რომელთა შორის ხდება ნუკლონების განუწყვეტელი გაცვლა. ლითიუმ — ექვსის ყველა არსებული მოდელიდან მხოლოდ ალფადეიტრონული უახლოვდება სინამდვილეს. მაგრამ ისიც მთლიანად არ შეესაბამება ლითიუმის რეალურ სტრუქტურას.

ატომგულის ქცევის გამოკვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნა როგორც უკანასკნელი წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიკური გამოკვლევა.

ქართველი ეროვნული მოღვაწე

(დასასრული)

ცური — სათნო ლირიკული ელეგია სამარადისოდ არის უკვდავი. მასში შერწყმულია „ძლევამოსილი სიტყვა, დიადი აზრი, მომხიბლავი უბრალოება და უბადლო თხრობა. ყოველისშემძლე სიცოცხლე, ამაღლებული სიყვარული, რაინდული პატივი და მამაცობა, ძმადნაფიცობა, თავისუფლების სიყვარული და ტომთა ძმური კავშირი არის საფუძველი ამ პოემის ქართული კულტურის ზენიტობისა“ (გვ. 209). დიდებულთა თუ მდაბიოთა წვრეებში რუსთაველის აფორიზმები მუდამ გაისმოდა და ახლაც ფართო წრეებში ისმის, როგორც ანდაზები, სენტენციები. პოემის სტრიქონები მეომრებს გმირულ სულს ჰბერავდა, დღეობებსა და ქორწილებს ლაზათს, გლოვას და ტირილს შნოს ჰმატებდა (გვ. 209).

წერილშივე სხარტად არის გადმოცემული პოემის გადარჩენის ისტორია, ქართული მწერლებისა და მოაზროვნეების შეხედულებები „ვეფხისტყაოსანზე“, ლაპარაკია პოემის თარგმანების ხარისხსა და მთელ რიგ სხვა საკითხებზე. დასკვნაში აღნიშნულია რუსთაველის ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობა (გვ. 213).

გიორგი ლეონიძე რუსთაველს ეხება არა მარტო როგორც მკვლევარი, არამედ მასვე შემქმნის, როგორც პოეტს.

მის ლექსში — „რუსთაველს“ — ვკითხულობთ:

„ჩვენს მაჯას მარად აცოცხლებს
შენი თქმა — ნათლის მთოვარი,
შენი ღვთიური სიმღერის
გამოქროლვანი, თრთოლვანი...
წამოდი, ჩვენო არწივო,
მოქანდი გულფიცხელადა,
ჩამობრიალდი თბილისში
მოფრენილ ცისარტყელადა!“

გ. ლეონიძის ლექსი „ვეფხისტყაოსანს“ ამ თემაზე დაწერილ ლექსთა შორის ერთერთი უძლიერესი და პოპულარულია. აქ მგოსანი ამბობს:

„ხელში ავიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი...
ჩაგცქერი;
წიგნი კი არა — ჭრელა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის...“

და ბოლოს პოემას ეუბნება:

„გკითხულობენ და გმღერიან!..“

დიდმნიშვნელოვანია ის ორგანიზაციული საქმიანობაც, რომელიც გიორგი ლეონიძემ გამოიჩინა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილესათვის მზადებისა (1934-1937) და ჩატარების (1937) დროს.

შემდეგაც, როდესაც გ. ლეონიძე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს და წლების განმავლობაში მას ხელმძღვანელობდა თუ ამავე კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, ეხი კვლავ რუსთაველზე ზრუნავდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ამაგი, რომელიც მან დასდო რუსთაველს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორობის დროს (1957-1956) რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილესათვის მზადებას.

აქ. გ. ლეონიძე იჩენდა რუსთველოლოგიის განყოფილებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც საუბილეო კომიტეტის წევრი, ბევრ საკითხზე ზრუნავდა და მათ შორის მანვე მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა შუა აზიის რესპუბლიკებში.

ამ ექსპედიციის მოწყობა, როგორც ეს მისი წერების ანგარიშში წერია, ნაკარნახევი იყო ძველი ქართული საისტორიო წყაროებისა და ზეპირსიტყვიერი გადმოცემების ცნობებით იმის თაობაზე, რომ თემურ ლენგმა (სამარყანდელმა) 1336-1405 წლებში ცხრაგზის დაარბია ჩვენი ხალხი, და თან წაიყვანა მრავალი ტყვე და წაიღო დიდძალი ალაფი.

სახელდობრ, ჩვენი ისტორიკოსი წერს: „თემურ სამარყანდელმა ბევრი ქართველი ამოსწყიტა“, ხოლო მრავალი „ტყვე და ალაფი გაგზავნა სამარყანდს ქორონიკონსა „ჭ“ (1402 წელს).

ასეთსავე ცნობებს გვაწვდის თემურ ლენგის ისტორიკოსი.

მათ კვლობასა და სხვათა მიხედვით იოანე ბაგრატიონი წერს: „მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომ ლანგთემურმან, რაიცა საღმრთო ანუ სხვანი წერილნი წარიღო საქართველოდან თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქვითკირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი და კარნი შეასხა, და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნი, და დასდო წყევა რომელ არავინ განიცის შუნითგან იგი წერილნი, და არს აწცა ისევ დაკრძალულნ“ („კალმასობა“, ტ. II, თბ., 1948, გვ. 130-131).

ერთ სომეხ სამარყანდელ ეპისკოპოსს გაუწერია „ივერიის“ ერთ-ერთ წერილში აღუნიშნავს, რომ ამ ქალაქში აღმოჩნდა ქართული ხელნაწერები და ქართველმა საზოგადოებრიობამ ყურადღება მიაქციოსო...

ამ ცნობის მიხედვითაც შესაძლებელი იყო შუა აზიაში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიც აღმოჩენილიყო.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა გ. ლეონიძის თხოვნა და იშუამდგომლა სათანადო რესპუბლიკებს ხელმძღვანელობებთან, რათა მათ მიეღოთ ადგილებზე ჩვენი სამეცნიერო ექსპედიცია ივ. ლოლაშვილის, ი. მეგრელიძისა და გ. ციციშვილის შემადგენლობით.

მართლაც, 1966 წლის მარტ-აპრილში ამ ექსპედიციამ მოიარა ქალაქები: ტაშკენტი, სამარყანდი, ბუხარა, დუშანბე, მარგილანი, ფერგანა, აგრეთვე ამავე ქალაქებს მახლობლად მდებარე მთელი რიგი ისტორიული ადგილები და ადგილობრივ ხელმძღვანელთა ნებართვით და ხელისშეწყობით გაეცნო მუზეუმს, საქალაქოსა და უმაღლეს სასწავლებლების ბიბლიოთეკებს, არქივებსა და კერძო კოლექციონერების ხელნაწერთა ფონდებს (საერთო ანგარიშით რამდენიმე ათეულ ათას ხელნაწერს), იკონოგრაფიულ მასალებს, ჰედური ხელოვნების ნიმუშებს, საისტორიო ძეგლებსა და ნეკროპოლებს...

თუმცა ექსპედიციის ადგილებზე ქართული ხელნაწერები არ შეხვედრია, მაგრამ გ. ლეონიძის ინიციატივით ჩატარებულ ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ყველასათვის უდავო უნდა იყოს. ეს იყო აღნიშნული წამოწყების ერთ-ერთი ქვედითი ნაბიჯი, და ამის შედეგადაც რომ იქ არაფერი აღმოჩნდეს, თვით შემოწმების ფაქტიც ფასეულია.

ამას გარდაც, ექსპედიციის წევრებმა დაამყარეს პირადი კონტაქტები იქაურ მეცნიერებსა და ჟურნალ-გაზეთებთან, ხელი შეუწყეს ადგილებზე რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეს უკეთ ჩატარებას.

გ. ლეონიძეს ორგანიზაციული სხვა ღონისძიებებთაც მიუძღვის ამაგი რუსთველოლოგიის წინაშე.

გამოვდივართ რა ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, დავასკვნით: მგოსანი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ლეონიძე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული კულტურის ძეგლებს, კერძოდ უაღრესად აფასებდა შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“. გ. ლეონიძე საერთოდაც დიდი ერუდიციის მოღვაწე იყო. ოჯახმა და სკოლამ, კეთილმყოფელმა საზოგადოებრიებმა გარემომ, მშობელი ხალხის სიყვარულმა, პოეტურმა აღმაფრენამ და სამკვლევრო ინტერესებმა განაპირობეს გ. ლეონიძის პატრიოტული შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

შემთხვევით წარმოთქმული არ იყო, რომ ცნობილმა ქართველმა მამულიშვილმა და განსჩინებულმა პროზაიკოსმა მიხეილ ჯავახიშვილმა გიორგი ლეონიძეს „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტი“ უწოდა.

ყოველივე ამ დამსახურების გამო ქართველმა ხალხმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა მისი სახალხო პოეტის, მეცნიერისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის — აკადემიკოს გიორგი ლეონიძის დაბადების 60 წლისთავი 1959 წელს. გარდაიცვალა, და, — მიუჩინა მას მუდმივი სამკვიდრებელი მთაწმინდის პანთეონში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, მას დიდი გულისყურით სწავლობს ჩვენი მეცნიერება.

ბიორგი ლეონიძემ თვითონ უკვდავყო თავისი სახელი.

საქართველოს გად-ვენახებში

ღვინო—მკურნალი

ღვინოს რომ სამკურნალო თვისებები აქვს, ძველთაგანვე იცოდნენ. მაგალითად, ჰომეროსი „ილიადაში“ ახსენებს ორ მეომარ ექიმს, რომლებიც დაჭრილებს აძლევდნენ ღვინოს, აგრეთვე იყენებდნენ მას ჭრილობის მოსაბანად.

ღვინო, რომელშიც ცოტაოდენი ზღვის წყალი ურევია,— წერდა სტრაბონი, არ იწვევს თავის ტკივილს, იგი... ხელს უწყობს საჭმლის მონელებას.

ნატურალური ღვინოების დეტურ თვისებათა დამამტკიცებელია საქართველოს ხანგაზმულ ადამიანთა „არგი ჯანმრთელობა, რომლებიც სისტემატურად, მაგრამ ზომიერად სვამენ ღვინოს.

არსებობს მედიცინის სპეციალური დარგი, რომელიც სწავლობს ღვინის სამკურნალო თვისებებს —ენოთერაპია. ღვინის სამკურნალო თვისებებს იკვლევენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული კლინიკისა და ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის თანამშრომლები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით.

გამოკვლევის ერთ-ერთმა ავტორმა — ციტოლოგიის სექტორის გამგემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. პატარაიამ ჩვენს კორესპონდენტს უამბო:

ქართული ღვინოების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მათ აქვთ სამკურნალო თვისებები.

თურმე ღვინო შეიცავს ენერგეტიკულ ნივთიერებებს, რომლებსაც თითქმის მთლიანად იყენებს ორგანიზმი. მაგალითად, ერთი ლიტრი ხარისხიანი ღვინო დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით შეიცავს 700-1.200 კალორიას (ადამიანს დღეში სჭირდება 2.000-დან 3.000-მდე კალორია). ღვინო შეიცავს ნოყიერ ნივთიერებებს, რომლებიც მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში. უჯრედებისა და ქსოვილების წარმოქმნაში. მშრალ ღვინოებში აღმოჩენილია 19-მდე ამინომჟავა, რომლებიც. როგორც ცნობილია, უშუალოდ მონაწილეობენ ორგანიზმისათვის საჭირო ცილების ფორმირებაში.

ღვინოში არის უმნიშვნელოვანესი ვიტამინები და სხვა ბიოკატალიზატორები. ღვინოში არსებული მიკროელემენტები აქტიურებენ და არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლას.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. დურმიშიძემ აღმოაჩინა, რომ კახურ ღვინოში არსებულ მთრიმლავ ნივთიერებებს აქვთ „პ“ ვიტამინის აქტივობა. ამ ვიტამინს იყენებენ ათეროსკლეროზის მკურნალობის დროს.

დამტკიცებულია, რომ „ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ხვანჭკარა“, „საფერავი“, „მუკუზანი“, და სხვა ღვინოები აძლიერებენ მადას, და მათი სმა რეკომენდებულია სისხლნაკლულობისა და პროფესორ ა. ყიულტის კლინიკური გამოკვლევების თანხმად კუჭის ზოგიერთი დაავადების დროს. ღვინო, თუ მას ზომიერად დალევთ, ხელს უწყობს სისხლძარღვების გაფართოებას და სისხლში თავისუფალი ქოლესტერინის რაოდენობის შემცირებას.

მიღებული შედეგების საფუძველზე მეცნიერები ალბად ახლო მომავალში დაამუშავებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს კლინიკებისათვის.

ზარული საუკუნეების ვაშლი

მთების დატერასებულ კალთებზე ვაშლის ბაღების გაშენება დაიწყეს მესხეთ-ჯავახეთში. მეხილეობა ამ მაღალი მხრის მეურნეობის შედარებით ახალგაზრდა დარგია, მაგალითად, ხეხილის ბაღების გაშენება ახალქალაქის რაიონში ზღვის დონიდან 1.700 მეტრ სიმაღლეზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალციხის საყრდენმა პუნქტმა მუშაობა დაამთავრა 18 ადგილობრივი ჯიშის ვაშლის გაკულტურებისათვის.

მტკვრის ზედა წელის, ფოცხოვის, ურაველის, ახალქალაქის თვალწარმტაცი ხეობები ოდესღაც განთქმული იყო ვაშლით. მაგრამ მტრის შემოსევებმა გააჩანაგეს გლეხები, აოხრდა აყვავებული ბაღები. მრავალი ჯიშის ხეხილი დაიკარგა. საყრდენი პუნქტის კოლექტივის 30 წლის ძიების შედეგად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის შ. წიქვაძის მეთაურობით აღმოჩენილია 33 გაველურებული, მაგრამ დადებითი მემკვიდრეობითი თვისებების მქონე ჯიშების ვაშლი. მათ შორისაა ტკბილი „შაქარნაბადა“, ნაზი „რძევაშლი“ და სხვები, რომლებიც არ ჩამორჩებიან საუკეთესო პოპულარულ ჯიშებს.

სამხრეთ საქართველოში ბაღებს აშენებენ წლის შედარებით მოკლე თბილი დროის გათვალისწინებით. ფართოდ არის შემოღებული პრაქტიკაში ყინვაგამძლე ჯიშების ვაშლი. მათ არჩევენ ისეთი ვარაუდით, რომ ნაყოფი მწიფდებოდეს სხვადასხვა დროს და კარგად ინახებოდეს.

წელს ახალქალაქის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების მეურნეობები 110 ჰექტარ ხეხილის ბაღებს გააშენებენ მთის კალთებზე.

მესამედ!

ჭადრაკის დედოფალი — ნონა გაფრინდაშვილი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონია

ჰადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა მისი ერთთვიანი პაექრობა ამ ტიტულის პრეტენდენტთან მოსკოველ ალა კუშნირთან.

ალა კუშნირი ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის სახელს 1962 წლიდან ატარებს, ამჯერად მეორედ ეცილებოდა მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას. პირველად მათი მატჩი 1965 წელს ნონას დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. $8^1/_2:4^1/_2$ — ასეთი იყო რიგაში გამართული ამ დაძაბული ასპარეზობის ანგარიში. ეს ანგარიში განმეორდა წელსაც — სამგზის მსოფლიოს ჩემპიონმა კვლავ 4 ქულის სხვაობით დაუმტკიცა პრეტენდენტს თავისი უპირატესობა.

16-პარტიიანი მატჩი გაიხსნა თბილისში, სადაც წარიმართა მისი პირველი ნახევარი. ორი უძლიერესი მოჭადრაკის პაექრობისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მისმა ორგანიზატორებმა იგი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზიდან მთავარ სცენაზე გადაიტანეს.

სტარტი არასახარბიელო გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონისათვის. პრეტენდენტმა პირველსავე პარტიაში მოიპოვა სანუკვარი ქულა. ალა კუშნირი მატჩისათვის საუცხოოდ იყო მომზადებული თეორიულად. ოთხი პარტიის შემდეგ კვლავ მას მიჰყავდა მატჩი — $2^1/_2:1^1/_2$. მაგრამ ეს იყო და ეს. ნონა გაფრინდაშვილმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ასპარეზობის თბილისის ნახევრის ფინიშთან უკვე ორი ქულით უსწრებდა მეტოქეს — 5:3. ასეთი იყო პირველი 8 პარტიის შედეგი.

მატჩის მეორე ნახევარი გაიმართა მოსკოვში. მსოფლიოს ჩემპიონს მე-9 პარტიის წინა დღეს — 3 მაისს 28 წელი შეუსრულდა. ნონამ მრავალი მილოცვა (ორასზე მეტი დეპეშა) მიიღო, რომელშიც გულშემატკივრები უსურვებდნენ სიმხნევეს, ხანგრძლივ შემოქმედებითს ახალგაზრდობას და, რაც მთავარია, გამარჯვებას მიმდინარე ასპარეზობაში.

ნ. გაფრინდაშვილს არ გაუწბილებია თავისი ქომაგები. მოსკოვის ნახევარი უფრო ხანმოკლე გამოდგა. ნონამ უკიმით დაამთავრა მეცხრე და მეთერთმეტე, მოიგო მეათე, მეთორმეტე პარტიები, ანგარიში გახდა 8:4 და მატჩის დამთავრებამდე 4 პარტიით ადრე შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. ახლა საჭირო იყო მატჩის მოგებაც. პრეტენდენტს მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა რჩებოდა დარჩენილ ოთხ შეხვედრაში მხოლოდ „სანუგეშოდ“ გაეთანაბრებინა მატჩის ანგარიში. მაგრამ მეცამეტე პარტიაში მან ეს საშუალებაც დაკარგა — უკიმი.

ამრიგად, მატჩის საერთო ანგარიში გახდა $8^1/_2:4^1/_2$. მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო 6 პარტია, 5 — უკიმით დაამთავრა და მხოლოდ ორი წააგო.

ნონა გაფრინდაშვილი მესამედ შეამკეს მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინით. ეს მოხდა მოსკოვში 20 მაისს, არმიის ცენტრალურ სახლში. ამ საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ არა მარტო მატჩის მთავარი გმირები, არამედ მათი მწვრთნელები, მსაჯები, ჟროსმაისტერები, ჟურნალისტები, ჰადრაკის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები.

საღამოს საზეიმო გახსნისა და მატჩის შედეგის გამოცხადების შემდეგ ჰადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბ. როდიონოვმა მსოფლიოს ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს გადასცა ოქროს მედალი და დაფნის გვირგვინით შეამკო იგი. მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ ჰადრაკის ქართველის დედოფლის დაჯილდოებას...

აღსანიშნავია, რომ ამავე დროს მოსკოვში მიმდინარეობს მეორე დიდი საჭადრაკო ასპარეზობა — მსოფლიოს ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანსა და ამ წოდების პრეტენდენტ ბორის სპასკის შორის. როგორც კი ნ. გაფრინდაშვილმა ჩემპიონობა შეინარჩუნა, ერთ-ერთი პირველი, ვინც მას ესოდენ დიდი გამარჯვება მიულოცა, იყო ტ. პეტროსიანი, რომელმაც განაცხადა, რომ მას ნონას წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა და ამ გამარჯვებას ელოდა.



ასეთივე აზრი გამოთქვეს სხვა გამოჩენილმა მოჭადრაკეებმაც; ეს ითქვა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის სტუდიასა და შემდეგ მოსკოვის რადიოსტუდიაში გამართულ პრეს-კონფერენციებზეც.

აი რა განაცხადა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ ა. სერგიევმა — „ზოგ სახელმწიფოში ჯერჯერობით კიდევ ჰყავთ დედოფალი. თქვენ კი, ძვირფასო ნონა, მთელი მსოფლიოს დედოფალი ხართ!“; გროსმაისტერმა ა. სუეტინმა — „თქვენ ვაუკაცურად განადიდებთ საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნებას. ვერა მენჩიკის შემდეგ არავის არ განუცვიფრებია მსოფლიო თქვენსავით. მართლაც საოცარი ხართ!“; მატჩის მთავარმა მსაჯმა, ჩეხოსლოვაკიელმა საერთაშორისო ოსტატმა ნ. ბრუშკოვა-ბელსკამ — „მატჩი მეტისმეტად კორექტულად მიმდინარეობდა. მეტოქეებმა როგორც ეე, ისე საერთაშორისო არბიტრი თ. სტრანდსტრემი „გაგვათავისუფლეს“ ყოველგვარი სამუშაოსაგან. ჩემპიონის გამარჯვება სავსებით დამსახურებულად უნდა ჩაითვალოს, იგი ძლიერად და დამაჯერებლად თამაშობდა, რაც ანგარიშშიც აისახა“; მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. რუბცოვამ — „ავადმყოფობის გამო საშუალება არა მქონდა დავსწრებოდი მატჩის თბილისის ნახევარს, მაგრამ მოსკოვის პარტიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პრეტენდენტმა სრულფასოვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნ. გაფრინდაშვილს...“

მატჩის მსვლელობას სისტემატურად უძღვნიდა სტატიებს გროსმაისტერი სალო ფლორი. კერძოდ აი რას წერდა იგი: „მე და პროფესორი მაქს ეივე თბილისშიც ვიყავით და ნონას მშობლიურ ქალაქ ზუგდიდშიც... შეკითხვაზე — ვინ მოიგებს მომავალ მატჩს ქალთა შორის? ყოველგვარი დიალოგი მატჩის გვერდის ავლით პირდაპირ ვამბობდით: რა თქმა უნდა, ნონა გაიმარჯვებს. გაძლევთ კიდევაც ყოველგვარ გარანტიას!“ „...ნონა ექსტრა კლასის მოჭადრაკეა, მოჭადრაკე, რომელიც ალემატება ყველა დანარჩენს“: მსოფლიოს ექსჩემპიონს „მიხეილ ბოტვინიკს დაფნის გვირგვინების მთელი კოლექცია აქვს — 5 გვირგვინი. ახლა მეორე ადგილზე მოდის ნონა. მას უკვე სამი გვირგვინი აქვს. მაგრამ ნონა ზომ შესანიშნავად თამაშობს ჰადრაკს. ეს იმედს გვაძლევს, რომ იგი მალე დაეწევა და გაუსწრებს დაფნის გვირგვინის უველაზე დიდ კოლექციონერს მ. ბოტვინიკს“; „...მსოფლიოს ჩემპიონები — ქალიც და ვაჟიც თბილისის პიონერთა სასახლის აღზრდილნი არიან. საჭადრაკო თბილისს კანონიერად შეუძლია იამაყოს, ჰადრაკის ორივე ეს მწვერვალი რომ აღზარდა!“

ვ. ჭანიშვილი.

* * *



სურათებზე: ქვემოთ — უკანასკნელი პარტია — (მარცხნივ — ნ. გაფრინდაშვილი, მარჯვნივ — ა. კუშნირი); ზემოთ — პირველი მილოცვები.

ფოტო ბ. კიკვაძისა.

[-15]

ფ. 21/45



თბილისი. მაისის წვიმიანი დღე რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ანდაზები

ახალგაზრდობაში აცდენილმა ყანწმა სიბერეში მაქეიფაო.

ვაი იმას, ვინც მხოლოდ სიკვდილამდე ცოცხლობსო.

დაილოცოს ის ტყუილი, ავადმყოფს რომ მოარჩენსო.

დიასახლისო! სანამ მაგიდაზე პურმარილს მიიტანდე, ჯერ გული მიიტანეო.

ბრიყვმა ბრძენს ნათქვამი დაუწუნა — მე არ მესმისო.

დღვლათი სახლიდან ვერ გამოაგდეს, სანამ სიზარმაცე არ შეუგზავნესო.

ენამ თქვა: შევარცხვინე ის სიყვარული, რომელსაც მე ვეჩირდებიო.

ჭორი აყოლა, შურთ მიყოლა კაცსა შეიქმს ბრძენსა ბრიყვად.

ცხვართან მუდამ მართალია, თუ დაჰკითხე მხოლოდ მგელი.

წამქცევს უცნობსაც იცნობენ, წაქცეულს კი ძმას არაო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

სპორტული მოზაიკა

დიტო შანიძე — სსრ კავშირის ჩემპიონი

დონის როსტოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ყველაზე ღონიერი ადამიანების ასპარეზობაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა თბილისელმა დიტო შანიძემ. ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შერკინებაში მან დააგროვა 375 კილოგრამი და ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.



სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი დიტო შანიძე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

დაუმარცხებლად...

დამთავრდა ფეხბურთში საკავშირო გათამაშების პირველი წრე. წელს სსრ კავშირის უძლიერესი საფეხბურთო კლუბები ორ ქვეჯგუფად არიან გაყოფილნი. საქართველოს ორივე გუნდი სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ მეორე ქვეჯგუფში გამოდიან. თბილისის დინამოელებმა პირველი წრის 9 მატჩი დაუმარცხებლად განვლეს და 13 ქულით სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე იმყოფებიან. ლიდერს მოსკოვის „სპარტაკს“ 14 ქულა აქვს.

ვერცხლის მედლები გარანტირებულია

მთავრდება კალათბურთელთა წლევანდელი დიდი ასპარეზობა — საკავშირო ჩემპიონატი. ახლა, როცა გუნდებს სათამაშო დარჩათ მხოლოდ ორ-ორი ან ოთხ-ოთხი შეხვედრა, ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა გათამაშების ფინალისტებს — თბილისის დინამოელებს მეორე ადგილი უჭირავთ და როგორც მინიმუმი, გარანტირებული აქვთ ვერცხლის მედლები.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციას

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო ყველა მკითხველს, ჩემს საზღვარგარეთელ კოლეგებს, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 50 წელი და მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღება.

იოსებ ნონეშვილი.



დაგეძებენ, მოგელიან

ვალოდია დომენტის-ძე ყიფიანს, დაბადებულს 1914 წელს საჩხერეში, ეძებს დედა დომინიკა რომანოზის ასული ყიფიანი, მცხოვრები ქ. საჩხერეში, ჯუღაშვილის ქ. № 170.

გოუსმინეთ საქართველოს

მოუსმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

კვირა ვისკვალთია

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.